№ 2674
ხუთშაბათი,
18 ნოემბერი

ცნობის ფურცელი

№ 2674
ხუთშაბათი,
18 ნოემბერი

გაზეთი ღირს: წლიწადი—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც." რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ეზოში, № 27 განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და კამპ. განცხადებათა კონტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1904

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს; ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთი თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372.

ხელის-მოწერა 1905 წლისათვის.

ყოველ დღიური გაზეთი
წელიწადი „ცნობის ფურცელი" მეათე
სურათებიანი დამატებით.
ფასი გაზეთისა გაგზავნით
კავკასიაში და რუსეთში: ერთის წლით 6 მანეთი. ‖ საზღვარ გარედ: ერთის წლით 9 მანეთი.
წლიური ფასის განაწილება: ხელის მოწერისათანავე 4 მან. და დანარჩენიც 1-ლ მარტამდე.

ყოველ თვიური ჟურნალი
წელიწადი „მოამბე" მეთორმეტე
ფასი ჟურნალისა გაგზავნით
კავკასიაში და რუსეთში: 1 წლით—10 მ., ცალკე №—1 მან. ‖ საზღვარ გარედ: 1 წლით—13 მ., ცალკე—№ 1მ. 20 კ.
ვინც „მოამბეს" მთელის წლით გამოიწერს, სურათებიანი დამატებანი და „ცნობის ფურცელი"

უფასოდ გაიგზავნება

მხოლოდ ქალაქ გარედ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატონ 1 მანეთი, რომელიც ხელის მოწერისათანავე უნდა იქმნას შემოტანილი.
წლიური ფასის განაწილება: პირველად—6 მან. ქალაქ გარედ მცხოვრებთათვის, და 5 მანეთი ტფილისელთათვის, 1-ლ მარტამდე—3 მან., 1-ლ აგვისტომდე—დანარჩენი.
(გარკვევით უნდა დაიწეროს სახელი გამოცემისა, რომელსაც იწერთ)
როგორც „ცნობის ფურცლის," ისე „მოამბის" მხოლოდ წლიურ ხელის მომწერთ გაეგზავნებათ თხზულება გამოჩენილ ესპანელ მწერლის სერვანტესის

„დონ-კიხოტი"
დორეს სურათებით.

ეს თხზულება ნათარგმნია ნიკოლოზ ავალიშვილის მიერ და შედარებულია ვიარდოს ფრანგულ თარგმანთან ალექსანდრე სარაჯიშვილის დახმარებით.
ორი ტომი შეიცავს დაახლოვებით 1700 გვერდს (ხამასამდე სურათით), პრემიად დარიგებულ
ყაზბეგის ნაწერების ფორმატისას.
1905 წ. ხელის მომწერთ დაურიგდებათ პირველი ტომი, ხოლო მეორე ტომი გაეგზავნებათ 1906 წლის ხელის მომწერთ.
ვინც 1906 წ. არ ისურვებს ჟურნალ-გაზეთზე ხელის მოწერის გაგრძელებას, მას შეუძლიან 1906 წლის დამდეგს მიიღოს მეორე ტომი, რისთვისაც დაუმატებს 2 მან. 50 კაპ. ტფილისში მცხოვრები და 3 მან. 20 კ. ტფილისს გარედ მცხოვრები, აგრეთვე 1906 წ. ახალი ხელის მომწერი მიიღებს პირველ ტომს ამავე პირობით.
პრემიის გასაგზავნად ქალაქს გარედ ხელის მომწერლებმა უნდა დაუმატონ 70 კაპ. წლიურ ფასის გარდა.
გარდა ამისა „მოამბის" წლიურ ხელის მომწერთ გაეგზავნებათ
„მასალები საქართველოს ისტორიისათვის"
ბატონიშვილის დავით გიორგის ძისა და მის ძმებისა.
ეს წიგნი ახლად ნაპოვნ ხელთ-ნაწერიდან იბეჭდება და შეიცავს 800 გვერდს „მოამბის" ფორმატისას.
რედაქციის კანტორის ადრესი: ვანქის დიდ ქუჩა, ქ. ამხანაგობის სახლში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ. Въ редакцію „Моамбе"-„Цнобисъ Пурцели".

სახაზინო თეატრი. ანტრეპრიზა საიმპერ. თეატრის არტ. ლ. დ. დონსკოისა.
ხუთშაბათს, 18 ნოემბერს 1904 წელს
წარმოდგენილი იქნება „რომეო და ჯულიეტა" ოპერა 5 მოქ. გუნოსი.
მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: დონსკოი-ეიხენვალდი, ნიკიტსკაია, ზასლავსკაია; ბ-ნნი: დონსკოი, კომაროვი, გალეცკი, ბორუბინოვსკი, შალინსკი, მურატოვი.
კაპელმეისტერი ეიხენვალდი. ფასები დაკლებულია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
19 ნოემბ.—„ალეკო" და „M-lle ფიფი".
გამგე ი. ა. კელლერი

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.
დ ო ქ ტ ო რ ნ ი:
ა. ი. ბალდარჯიშვილი.—ბავშვებისა. 9½—10½ ს.
ვ. ტ. ზულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის ყოველდღე გარდა კვირისა. 10—11 საათ.
ლ. ი. კიმონტი.—ხირურგია 11½—12½ კვირაობით, სამშაბ., და ხუთშაბათ.
ა. ნ. დიასამიძე.—ვენერიული და კანისა 12½—1½ საათამდე.
დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.
მკ. ქალი ე. ქ. იოსელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.
ბ. ა. ბიბილი.—შინაგანი და ბავშვებისა—1—2 საათ.
ლ. ი. მონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშვებისა და (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობ. 1—2 საათამდე.
ა. ს. მუსხელიშვილი.—თვალისა 2—3 საათ. ყოველ-დღე გარდა სამშაბ. და კვირისა.
მრ. შ. ხოზოლიმხაძე.—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკ. 1—3 საათამდე.
ს ა ღ ა მ ო თ ი:
ბ. შ. ხოზოლიმხაძე.—ხირურგია და ორტოპედია ხუთშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.
ტ. ს. დავითოვი.—შინაგანი და ბავშვებისა ყოველდღე გარდა კვირისა. 5—6 საათ.
ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., სავადმყოფოს აქვს ოთხი საწოლი სამკურნალოში ავადმყოფები მორიგებით. კრავატები დღეში ღირს 1½ მან. საზოგადო და ნომერი 5 მან.
ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აზრამოვისა, № 5. [illegible] 34 B. [illegible])
ტელეფონი № 274.

კბილის ექიმი
ივანე ა. ახალშენიშვილი
გადავიდა: ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამ. 5—7. კვირა-უქმით 10—1-დის.

ე ქ ი მ ი
ი. ი. ზამბურაძე
რიბოპიერის ქ.—27. იღებს შინაგანითა და ნერვებით ავადმყოფებს საღამოს 5—7 საათამდის. სამკურნალოსადიაგნოზო კაბინეტი ქიმიურ-მიკროსკოპიული გამოკვლევანი ნახველისა, სისხლისა, შარდისა და სხვ. (30—365—12)

მ კ უ რ ნ ა ლ ი
მიხეილ გედევანიშვილი
იღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით.
ყირიმიანთის ქ., № 16, საკუთ. სახ., ტელ. 792.

ე ქ ი მ ი
ა. ნ. დ ი ა ს ა მ ი ძ ე
იღებს სიფილისით და ვენერიულ სნეულებით ავადმყოფებს, დილის 9—11-მდე და საღამოს 6—8-მდე ფოსტის პირდაპირ, ბარონის ქუჩა, სახლი მესხიშვილისა. (30—21)

ე ქ ი მ ი
ა. ნ. თ ე თ რ ა ძ ე
სუდებნაია, სახლი № 24, აფთიაქის თავზე. იღებს შინაგან, ნერვების და ბავშვების ავადმყოფებს საღამოს 5—8 საათამდე. მიკროსკოპით სინჯავს ნახველს, შარდს, სისხლს და სხვ. (37—366—11)

კბილის ექიმი
ელ. რ ო მ ა ნ ი შ ვ ი ლ ი
მიიღებს ავადმყოფებს ახალ ბინაზე მუხრანიანთ ქუჩა, № 19, საკუთარი სახლი, ქალაქის სამკურნალოს გვერდზე, დილის 12 საათიდან საღამოს 5 საათამდე. (თვ.—5.—31)

ტფილისის სათავად-აზნაურო საკრებულო

შეუდგა ტფილისის გუბერნიის თავადთა და აზნაურთა გვარების ხაზთამომავლობის წიგნების შედგენას. ამ ჟამად უკვე შედგენილია ქვემოდ ჩამოთვლილ გვარების შტონი: თავადთა აბაშიძეთა, აფხაზთა, აბაშელიქოვთა, ავალოვთა, ამატუნოვთა, იმილახორთა, ამირეჯიბთა, არღუთინსკი-დოლგორუკოვთა, ბაგრატიონ-მუხრანბატონთა, ბაგრატიონ-დავითიშვილთა, ბარათაშვილთა, ბებუთოვთა, ბეგთაბეგოვთა, ვახვახიშვილთა, ვაჩნაძეთა, ვეზიროვთა, გურამიშვილთა, ჯანდიერთა, ჯორჯაძეთა, ლიონიძეთა, მაღალაშვილთა, მელიქიშვილთა და მაჩაბელთა.

იმ პირთ, რომელნიც ეკუთვნიან ამ გვარებს და რომელთაც ჰსურთ შეამოწმონ სინამდვილე და სისრულე საგვარეულო სიაში მოთავსებულ ცნობათა, სთხოვენ მიმართონ დეპუტატთა საკრებულოს (სოლოლაკის ქუჩა, № 10). შაბათობით, 11—12 საათამდე.

ამასთან ერთად საკრებულოს აზრად აქვს შეადგინოს მცოდნე პირთა დახმარებით ისტორია თავად-აზნაურთა გვარებისა.

ამის გამო ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლი სთხოვს იმ პირთ, ვისაც მოეპოვება გუჯრები, სიგელები, წყალობის ქაღალდები, ძველი წერილები, მოგონებანი და სხვ. გადასცენ დეპუტატთა საკრებულოს, რომელიც თავის დროზე უკანვე დაუბრუნებს პატრონთ უკლებლივ.

დოკუმენტების წარმომადგენელთ მიეცემათ საკრებულოს მდივნის მიერ კვიტანცია დოკუმენტების მიღებისა; თითონ დოკუმენტები-კი დაცული იქმნება განსაკუთრებულ, ცეცხლის მხრივ უვნებელ ყუთში. (5—5.—4)

რუსეთ-იაპონიის ომი

დ ე პ ე შ ე ბ ი

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან"

16 ნოემბერი

პეტერბურგი. გენერალ-ადიუტანტის კუროპატკინის უქვეშევრდომილესი დეპეშა მისს უდიდებულესობას, 15 ნოემბერს 1904 წელს: „15 ნოემბერს ცინხეჩენთან ბრძოლა განახლდა, მაგრამ დილის 11 საათზე შესწყდა. ჩვენი პოზიციების მახლობლად, ცენტრისა და მარჯვენა ფრთის წინ, თავს ვუყრით დასამარხავად იაპონელთა გვამებს. 12 საათამდე დავასაფლავეთ 230 გვამი. ყველანი მეცხრე სარეზერვო ბრიგადის მე-7 პოლკს ეკუთვნოდნენ. ხელთ ჩაიგდეთ ბევრი იარაღი, საზნეც მოწყობილებანი და სხვა ნივთები. 15 ნოემბერს არ მიმიღია სხვა მოხსენებანი ბრძოლის შესახებ. ზემო აღნიშნულს უქვეშევრდომილესად მოვახსენებ თქვენ იმპერატორებით უდიდებულესობას".

გენერალ-ლეიტენანტის სახაროვის დეპეშა მთავარ შტაბს, 16 ნოემბერს: „15 ნოემბერს მტრის ჯარის იმ ნაწილმა, რომელმაც ცინხეჩენთან ჩვენ პოზიციაზე იერიში მიიტანა, ნელ-ნელა უკან დაიხია. ჩვენი მოწინავე ჯარი მტერს დაედევნა, მაგრამ იაპონელებმა ტყვია დაუშინეს სოფლიდან, რომელიც ჩვენის პოზიციიდან ოთხი ვერსის მანძილზეა. ჩვენმა არტილერიამ იმდენი მოახერხა, რომ მტერმა სოფელი დასცალა. 15 ნოემბრის ღამეს არ მიგვიღია მოხსენებები ბრძოლის შესახებ."

სუეცი, 15 ნოემბერი („რეიტერი"). ბალტიის ესკადრა ჯიბუტში შევა. რუსის მთავრობამ დაიქირავა სამი გემი. ამ გემებმა თვალ-ყური უნდა ადევნონ იმ გზას, რომელითაც ესკადრა მიდის.

ტოკიო, 15 ნოემბერი („რეიტერი"). შტურმი პორტ-არტურისა ჯერაც არ გათავებულა. ბრძოლა კვლავინდებურად მწვავეა. აქ ძალიან შეშფოთებულნი არიან, რადგან იციან, რომ ჯარი ცხიას ასაღებად ყოველ ღონესა ხმარობს. მთავრობა გაჩუმებულია. ზოგის აზრით, ეს იმასა ნიშნავს, რომ გამარჯვება შორს არის.

ჩიფუ, 15 ნოემბერი („რეიტერი"). აქ მოსულმა კაცმა ამბავი მოიტანა, რომ 15 ნოემბერს პორტ-არტურთან მეტად ცხარე ბრძოლა იყო. პორტ-არტურსა და ლიაოტიანიდან დალნიში ასობით მოდიან ავადმყოფნი. ამათ გემებზე სხამენ და იაპონიაში ისტუმრებენ. ეხლა გამოირკვა, რომ ტოგოს ესკადრის მხოლოდ მცირე ნაწილი არტყია პორტ-არტურს.

ტოკიო, 16 ნოემბერი („რეიტერი"). არწმუნებიან, რომ იაპონელების მიერ „203 მეტრის სიმაღლე გორაზე" ღამით მიტანილი იერიში გამარჯვებით დასრულდა. ამ სიმაღლის აღების შემდეგ, მთელი ნავთ-სადგური იაპონელების თვალწინ იქნება.

დაკარი, 15 ნოემბერი („რეიტერი"). „ლოიდ"-ს ატყობინებენ, რუსის სამხედრო გემი „კუბანი" მოვიდა აქ და რეიდზე დადგა ქვა-ნახშირის დასადებად.

ვაშინგტონი, 15 ნოემბერი („რეიტ. სააგ."). რუსეთისა და ინგლისის ელჩებმა გადასცეს მოწვევა შესახებ მაღალ-ხარისხოვან საზღვაო აფიცრის დანიშვნისა წევრად იმ კომისიისა, რომელმაც უნდა განიხილოს დოგერ-ბანკის ინციდენტი.

ვაშინგტონი, 15 ნოემბერი („რეიტ. სააგ."). მთავრობა წინადადებას მისცემს ადმირალ დიუის იქნეს შეერთებულ შტატების წარმომადგენლად იმ კომისიაში, რომელმაც უნდა განიხილოს ჩრდილოეთ ზღვაში მომხდარი ინციდენტი. თუ დიუი არ ისურვებს ამ კომისიის წევრობას, მაშინ დაინიშნება კონტრ-ადმირალი ჩედვიკი, სამხედრო-საზღვაო კოლეგიის თავმჯდომარე ნიუ-პორტში.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან"

16 ნოემბერი

ლონდონი, 16 ნოემბერი. „დეილ ნიუს"-ის თანამშრომელს როჩი უნახავს და „კაროლინა"-ს საქმეზე ულაპარაკნია. როჩს დაწვრილებით ცნობის მიცემაზე უარი უთქვამს, მხოლოდ ის-კი უთქვამს, რომ ნაღმიანი გემი რუსებს კუგსჩაფენში, ლიბავის ახლო, ჩაუბარეთო. რუსის კრეისერმა „კაროლინა" შეიყვანა, კაპიტანმა გამოუცხადა, ეს ინგლისის იახტაა და ამის შემდეგ „კაროლინა" ნავთ-სადგურში შეიყვანესო.

ვერხნე-უდინსკი, 16 ნოემბერი. გენერალ-ადიუტანტმა გრიპენბერგმა ბაიკალის რკინის გზაზე გაიარა. ვერხნე-უდინსკში გენერალს ადგილობრივი მოხელეები და ქალაქისა და ბურიატების დეპუტაციები დაუხვდნენ.

კიევი, 16 ნოემბერი. დილით საგანგებო მატარებლით მანჯურიის მე-3 არმიის უფროსი ბარონი კაულბარსი თავის შტაბით შორეულ აღმოსავლეთს წავიდა.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან"

16 ნოემბერი

კოვნა. კოვნის პოლიციამ დანარჩენი გამტარებლები დაატუსაღა და ყველა ის ძვირფასი ნივთი იპოვა, რომელიც ბანკირ როსენსკის მოსტაცეს.

ორიოლი. სამგზავრო მატარებელი, რომელიც ელეცადან ორიოლში მიდიოდა, კინაღამ რელსებიდან არ გადავარდა, მაგრამ დროზე შეაჩერეს. ბოროტ-განმზრახველთ გატეხეს მანძილზე რელსები ხიდთან.

პარიზი. პარლამენტის კომისიამ 13 ხმით 11 წინააღმდეგ უარ-ჰყო მთავრობის კანონპროექტი ეკლესიის სახელმწიფოსაგან განცალკევების შესახებ. კომისია 33 კაცისაგან შესდგება, მაგრამ ხსენებულ სხდომას მთავრობის მომხრეთა უმეტესობა არ დასწრებია.

პეშავერი, 16 ნოემბერი („რეიტ. სააგ."). ქაბულიდან მოსულ ცნობებით, ხისარ ბანდარში რუსის ჯარები მოვიდნენ. რუსებმა ააშენეს ახალი ქარვასლა კუ-რუკიში (!), სადაც დაწყეს ულევი ტფარი რუსული საქონელი გაცვლა-გაცვლობისათვის. წინად ავღანელები ტაშკენტსა და სხვა ქალაქებში უნდა წასულიყვნენ, რომ რუსული საქონელი შეეძინათ. ეხლანდელ პირობებში სავაჭრო საქმეები დღითი-დღე იზრდება. ჰფიქრობენ, რომ რუსების ამ ახალ ღონისძიებას პოლიტიკური მიზანი აქვს. ფეისაბადის გუბერნატორმა შეატყობინა ემირს, რომ წინად კოკშას იქითა მხარეს მხოლოდ რუსის დარაჯები იყვნენ, დღეს კი კოკანიდან კოლადსაზე მოვიდა მთელი რაზმი, 4000 კაცისაგან შემდგარი. სურსათი რუსის ჯარისკაცებს მოსდით ბადახშანის გაჭრებისაგან. ემირმა რუსეთ-ავღანისტანის საზღვრების რუქა გაუგზავნა გუბერნატორს და უბრძანა სულ მოკლე ხანში შეიტყოს, არღვევენ თუ არა რუსები დაწესებულ საზღვარს; თან დეპეშაში დაბეჯითებით მოსთხოვა ფეისაბადის გუბერნატორს ააშენოს ქალაქის გარშემო ახალი სიმაგრეები. მაინის გუბერნატორსაც ამ გვარივე ბრძანება მიუვიდა.

დამის დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე.

ჟურნალ-გაზეთებიდან

ომის ამბები. მარშალ ოიამას მთავარ-სადგომიდან სწერენ რომაულ გაზეთებს: მარშალმა ოიამამ დეპეშით შეატყობინა თავის მთავრობას, რუსები ძლიერა ცდილობენ, იაპონელები მახეში გაებათ, მაგრამ ვერ მოახერხესო. იაპონიის არმიას მშვენიერი, ძალზე გამაგრებული პოზიციები უჭირავს. ეს პოზიციები იერიშის მიტანის დროსაც დიდ დახმარებას გაუწევენ იაპონიის ჯარს. იაპონელები გარემოებას დაჰხედვენ და როგორც უმჯობესად დაინახვენ, ისე მოიქცევიან: ან თითონ მიიტანენ იერიშს, ან მტრის მოგერებას დასჯერდებიან. გენერალი კუროკი განაპირა მარჯვენა ფრთაზე (რუსების მარჯვენა ფრთაზე) მოქმედებს, რუსის ჯარს გვერდიდან შემოვლას უპირებს. („ნ. დ.").

„ლოკალ ანცეიგერ"-ის პარიზელი კორესპონდენტი იუწყება: პარიზში ცნობა მიიღეს ფუზანიდან, რუსებმა ვლადივოსტოკიდან მდ. ტუმენამდე რკინის გზის აშენება დაამთავრესო. რუსის ყაზახები გენზანამდე ჩადიან. ამიტომ იაპონელები გენზანის მეციხოვნე ჯარს უმატებენ. ამას წინად გენზანში 1000 იაპონელი მოვიდა და ჩრდილოეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ გაგზავნეს, რომ ყაზახებს თარეშობა დაუშალონ. („მ. ვ.").

გაზ. „პტი ბლო" იუწყება: ბელგიაში 1 მილიონი წყვილი წაღა იყიდეს რუსეთის არმიისათვისაო. რუსეთი ბელგიაში სამხედრო სურსათსა, კონსერვებსა და დიდ-ძალ სპირტს ჰყიდულობს. რუსეთის საინტენდანტოს წარმომადგენლებს ბინძანები აქვთ, ყველაფერი მხოლოდ საფრანგეთსა, ბელგიასა და შვეიცარიაში იყიდეთო. ამ წარმომადგენლებს უმთავრესი ბინა პარიზში აქვთ. („ნ. დ.").

სან-ფრანცისკოდან ატყობინებენ „პეტერბურგის სააგენტოს": იაპონიიდან უფრო და უფრო მეტი საქონელი მოაქვთ ამერიკაშიო. („მ. ვ.").

პორტ-არტურიდან „დეილ-მეილ"-ი იუწყება: რუსებმა პორტ-არტურის დოკს ჯავშანი გადააფარეს, რომ იაპონელების ყუმბარამ არ დააზიანოსო. („ნ. ვ.").

„დეილ-ექსპრეს"-ის კორესპონდენტი არწმუნებს, ვითომ „რასტოროპნი"-სთან ერთ პორტ-არტურიდან კიდევ სამი კონტრ-ნაღმიანი გემი სხვა გამოსულიყოს. ამ გემებსაც გენ. სტესელის დეპეშის პირი მიჰქონდათ; ყველა გემებს ბრძანება ჰქონდათ მიცემული, დეპეშა უთუოდ ჩააბარეთ ჩიფუშიო. კონტრ-ნაღმიანი გემები თოვლ-ბუქის დროს გავიდნენ პორტ-არტურიდან. კრეისერმა „კასუგა"-მ ერთი ნაღმიანი გემი შენიშნა და გამოუდგა; ნაღმიანი გემი გაქცევას ცდილობდა, მაგრამ „კასუგა"-მ ზარბაზანი დაუშინა და ერთ საათში ჩაძირა. ამ ნაღმიან გემიდან 4 კაცი გადაარჩინეს. მეორე კონტრ-ნაღმიანი გემი კრეისერმა „მატსუშიმა"-მ შენიშნა პორტ-არტურიდან 25 მილის მანძილზე და რადგან ეს გემი არ გაჩერდა, ჩაძირა. რუსის გემს დაღუპვის წინ ნაღმი უსროლია „მატსუშიმა"-სათვის და მოუხვედრებია, მაგრამ „მატსუშიმა" მაინც სხვისა დაუხმარებლად წასულა. ორი ნაღმიანი კრეისერი მესამე კონტრ-ნაღმიან გემს გამოუდგა, ორი ნაღმი მოახვედრეს, მაშინის განყოფილება აუფეთქეს და მეზღვაურებიანად ჩაძირეს. იაპონელი აფიცრები ერთხმად აქებენ რუსის მეზღვაურთა გმირობას. („ნ. დ.").

ბრძოლა ლიაოიანთან, 16—22 აგვისტოს. მოსკოვში შორეულ-აღმოსავლეთიდან მე-115 ქვეითა ბუზულუკის პოლკის შტაბს-კაპიტანი კუშუევი დაბრუნებულა. კუშუევი გენ. ორლოვის მე-54 დივიზიაში მსახურობდა, 19—22 აგვისტოს იანტაისთან ბრძოლაში მონაწილეობა მიუღია და დაჭრილა კიდევაც. ამ ბრძოლის ამბავი აქამდე ნათლად არაა გამორკვეული; კორესპონდენტები ნაირნაირად ასწერენ. უმეტესობა ამ ბრძოლის წაგებას გენ. ორლოვს აბრალებს. როგორც ვიცით, ამ დამარცხებამ ლიაოიანი მოატოვებინა რუსის არმიას. შტაბს-კაპიტანი კუშუევი გენ. ორლოვს ამართლებს. კაპიტანი ამბობს: ჩვენ იძულებულნი ვიყავით იაპონელებს შევბრძოლებოდით (ამბობენ, გენ. ორლოვს ბრძანება ჰქონდა, იანტაის მაღაროებთან პოზიციებზე მდგარიყო და წინ არ წასულიყო), წინ წავსულიყავით და მერე უკან დაგვეხია, სხვანაირად მოქცევა არ შეგვეძლო. გენ. ორლოვს არავაისა, მოკშანისა, ბუზულუკისა, ინსარისა და პსკოვის პოლკები ჰყავდა; პსკოვის პოლკი უკან რეზერვში იდგა, ბუზულუკის პოლკი მარცხენა ფრთაზე განაპირას იდგა. გენ. ორლოვს სულ 20 ათასი კაცი და ერთი, მე-26 საარტილერიო ბრიგადა (48 ზარბაზანი) ჰყავდა. იაპონელები გაცილებით მეტის ჯარითა და არტილერიით დაგვეცნენ (ზოგი რუსის კორესპონდენტი ამბობს, იაპონელებს რუსებზე ნაკლები ჯარი ჰყავდათო). ბუზულუკის პოლკი ჯერ გორაზე იდგა, მერე ვაკე ადგილზე გადავიდა. დილის 6 საათი იყო. ნაშუადღევის 2—3 საათზე პირველი ციმბირის კორპუსი (გენ. შტაკელბერგისა) უნდა მოსულიყო. იაპონელებმა საშინელი ზარბაზნისა და თოფის სროლა ასტეხეს და სულ ნახევარ საათში ბუზულუკის პოლკს სალდათების ნახევარი და 32 აფიცრიდან 25 კაცი მოუკლეს და დაუჭრეს. რა უნდა გვექნა? ვმდგარიყავით და პირველ კორპუსისათვის გველოდნა? ლოდინი შეუძლებელი იყო. იაპონელები მწკრივად გვაწვებოდნენ, ბალახსავით გვთიბავდნენ. მეტი ჩარა არ იყო, უნდა იერიში მიგვეტანა, შტიკებით ვცემოდით მტერსა. ბევრი გმირი დაიღუპა ამ ბრძოლაში. იაპონელებმა მარცხნიდან მოგვიარეს და თოფი და ზარბაზანი დაგვიშინეს. მე-6 როტის კაპიტანი შეჭრა მტრის რაზმში შეიჭრა; იაპონელებმა შტიკებით მაღლა ასწიეს. როტამ კაპიტნის გვამი მაინც გამოიტანა. რაკი მარცხენა ფრთიდან თითქმის მოგვიარეს, უკან და მარჯვნივ წასვლა-და შეგვეძლო. ამნაირად საღამოს საათის 6-მდე ვიდექით. პირველი კორპუსი მაინც არა სჩანდა. სალდათები უფრო და უფრო იღლებოდნენ. საათის 4-ზე დამსჭრეს, ფეხით წავლახლახდი იარის შესახვევად. ორ საათამდე ვიარე და პირველი კორპუსი მაინც არ შემხვდა... ჩვენ რომ უძრავად ვმდგარიყავით, არც იერიში მიგვეტანა, არც უკან დაგვეხია, ყველანი გავწყდებოდით. პირველად მაინც ჩვენის დივიზიის პოლკები ნელ-ნელა იხევდნენ უკან, ჯერ კიდევ შველას ველოდით... შტაბს-კაპიტანი კუშუევი ჰფიქრობს, გინდა მე-54 დივიზიას პოზიცია შეენარჩუნებინა, სულ ერთია, იაპონელები გვერდიდან მოუვლიდნენ, რადგან გაცილებით მეტი ჯარი ჰყავდათო. („ნ. დ.").

სამხედრო მოქმედება ზამთარში. მანჯურიაში ზამთარი დადგა და მიმომხილველები ეხლავე ცდილობენ გამოცნობას, როგორ წავა ზამთარში საქმე და იაპონელები და რუსები როგორ მოიქცევიან. „რუსკია ვედომ."-ის სამხედრო მიმომხილველი ბ. ს. კ. სწერს: „მანჯურიაში, სამხედრო მოქმედების ასპა-

რეზე ზამთარი უფრო ადრე დაიწყო, ვიდრე მოსალოდნელი იყო. მდ. ხუნხე ჯერ კიდევ 23 ოქტომბერს გაიყინა; ნოემბრის დამლევს უფრო ჩქარი, ხუნხეს ტოტები—მთის მდინარეებიც გაიყინა; მდ. შახე 4 ნოემბერს შეიმოსა ყინულით. ამ ჟამად მანჯურიის მდინარეებზე ყინული ისე გასქელებულა, რომ ზედ დიდი ზარბაზნებიც-კი თავისუფლად გადიოდიან. ასე რომ შემოდგომის უგზოობასა და ჭუჭყს ბოლო მოეღო და მანჯურიაში მარხილებით სიარული შეიძლება. ამიტომ ეხლა უფრო ხშირად ჰკითხულობენ, ზამთარშიაც მოხდება დიდი და მძლავრი ბრძოლა, თუ სამხედრო მოქმედება მომავალ გაზაფხულამდე შედგება. სამხედრო მოქმედება ზამთარშიაც შეიძლება. პრუსიის მეფე ფრიდრიხ დიდი 1857 წ., ფრანგთა სარდალი გენ. მორო 1800 წ., ნაპოლეონ I 1805 და 1806—1807 წ.წ., რუსის გენ. კუტუზოვი 1812 წელს და მოკავშირეთა არმიები საფრანგეთში 1814 წელს ზამთარში ომობდნენ. კერძოდ რუსის არმიას მე-XIX საუკუნეში ყველა დიდ ომის დროს ზამთარშიაც გაულაშქრნია და ხშირად სწორედ ზამთარში გადაწყვეტილა ომის ბედი. საკმაოა გავიხსენოთ გენ. ბარკლაი-დე-ტოლის გალაშქრება შვეციაში 1809 წელს, ან გენ. გურკოსა და სკობელევის გადასვლა ბალკანის მთებზე 1877 წელს ზამთრის დროს. არა გვგონია, რომ სამხრეთ მანჯურიაში უფრო სასტიკი ზამთარი იცოდეს, ვიდრე ბალკანის თოვლით შემოსილ მთებზე, ან ბოტნიკის ყურის (შვეციისა და ფინლანდიის შუა) ნაპირებზე. მართალია ზამთრის სიცივე და თოვლ-ბუქი რუსისა და იაპონიის ჯარს ბრძოლასა და სიარულს ვერ დაუშლის, მაგრამ ეხლანდელ ომის დროს გზების მოწყობა, საკვებ და სამხედრო სურსათის ზიდვა ჯარისათვის უფრო გასაჭირია, ვიდრე 100 წლის წინად იყო. ეხლა ზამთარში ომი მხოლოდ იმას შეუძლიან, ვისაც კარგი გზები აქვს გაყვანილი სამხედრო მოქმედების ასპარეზამდე. ამ მხრივ რუსის არმია ეხლა გაცილებით უკეთეს ყოფაშია, ვიდრე წარსულ ზამთარში იყო. ციმბირისა და იმიერ ბაიკალის რკინის გზებს თითქმის ერთი ორად მეტის ჯარის გადაყვანა და საქონლის გადატანა შეუძლიანთ; ამას აქეთ, რაც ბაიკალის ტბის გარშემო რკინის გზა აშენდა, საქონელი უფრო ჩქარა და დაუბრკოლებლივ იგზავნება მანჯურიაში, ვიდრე ბაიკალის ტბით იგზავნებოდა. მაგრამ ზამთარში საქონლის გადატანა და მეტადრე ჯარის გადაყვანა 7—8 ათას ვერსტის მანძილზე ციმბირის სიცივესა და თოვლ-ბუქში მაინც ძნელია, ნამეტნავად ბაიკალის რკინის გზაზე, სადაც მთიდან ხშირად თოვლის ზვავი ჩამოწვება ხოლმე. ვერ დავმალავთ, რომ რუსეთმა ეხლა გაცილებით მეტი ჯარი უნდა გადაიყვანოს და მეტი საქონელი უნდა გადაიტანოს შორეულ აღმოსავლეთს, ვიდრე შარშან ზამთარში. მაშინ პირველ სამ თვეში შორეულ აღმოსავლეთს 40—45 ათას სალდათზე მეტი არ გადაუყვანიათ, ეხლა-კი, რომ ერთ თვეში სულ მცირედ 150 ათასი კაცი უნდა გადაიყვანონ ბაიკალს იქით; ამას გარდა, უეჭველია, კიდევ ბევრის სხვა ჯარის გაგზავნაც დასჭირდება რუსეთს. რამდენიმე ასის ათასის კაცის გადაყვანა და ნახევარ მილიონ ჯარისათვის საკვებ და სამხედრო სურსათისა, იარაღისა და ტანისამოსის ზიდვა მეტად უფრო გაძნელდება, თუ ზამთარში ბრძოლა არ შედგება; მაშინ რკინის გზას მრავალის დაჭრილ და სნეულ ხალხის წამოყვანაც დასჭირდება. გენ. კუროპატკინი დეპეშით იუწყებოდა, 25 სექტემბრიდან ორი კვირის განმავლობაში მუკდენიდან ჩრდილოეთისაკენ 32,054 ათასი დაჭრილი და სნეული კაცი გავისტუმრეთო; ასე რომ დღეში საშუალოდ 2,290 კაცი უსტუმრებიათ. თითო ვაგონზე რომ 12 კაცი ვიანგარიშოთ, ყოველ დღე 190 ვაგონი, ან 6 მატარებელი დასჭირდება. ამიტომ სასურველია, რომ დიდი ბრძოლა გაზაფხულამდე გადაიდოს. მაინც არა გვგონია, რომ გენ. კუროპატკინმა დიდხანს მოიცადოს. გენ. კუროპატკინმა თავის განთქმულ ბრძანებაში 19 სექტემბერს გამოაცხადა, პორტ-არტურის დასახსნელად უნდა გავილაშქროთო და ამ საქმეზე რუსის მთავარსარდალი ხელს ვერ აიღებს. სამის არმიის მოწყობა და ჯარის საჩქაროდ მომატება მოასწავებს, რომ რუსის მთავარ შტაბს ახლო მომავალში წინ გალაშქრება მიაჩნია საჭიროდ. გაზაფხულამდე რომ მარტო მტრის მოგერება ეწადოთ, მდ. ხუნხეზე ნახევარ მილიონ ჯარის შეყრა მეტი იქნებოდა; მაშინ გენ. კუროპატკინი მდ. ხუნხეს მარჯვენა მხარეს დადგებოდა და იაპონელებს გაიჩერებდა. რაკი ეხლა ჯარი მიდის, სადმე ზევითკენ უფრო კარგად გაატარებდა ზამთარს და იაპონელების თვალ წინ პოზიციებზე მიწურებსა და ქოხებში აღარ იცხოვრებდა. თითქმის ეჭვი არაა, რომ გენ. კუროპატკინი ჯერ კიდევ შუა ზამთარში, ან ამწამს სამივე არმიის მეთაურის თავით, წინ გაილაშქრებს და იერიშს მიიტანს იაპონელებზე.

რასაკვირველია, იაპონიისაც გაუძნელდება ზამთარში ომი. დღემდე მარშალ ოიამას ინკოუსა და შანხაის (ანდუნის) პორტებიდან ზღვით მოსდიოდა ყველაფერი, მაგრამ მალე ეს პორტები გაიყინება და იაპონელებს უფრო შორს სამხრეთისაკენ მოუხდებათ თავიანთ უმთავრეს ბაზების (საიდანაც სურსათი მოსდის ჯარს) გადატანა, იმ პორტებში, სადაც წყალი არ იყინება. გენ. ოკუსა და ნოძუს არმიებს ინკოუს მაგივრად დალნიდან მოუხდებათ სურსათის ზიდვა, გენ. კუროკის არმიას შანხაის მაგივრად ჩემულპოდან, საიდანაც ტიურენჩენის ბრძოლამდე მოსდიოდა სურსათი. იაპონელებმა ჯერ კიდევ სექტემბრის დამდეგს დალნიდან დაშიჩაომდე რკინის გზა ვიწრო ლიანდაგიან გზად გადააკეთეს. ინგლისური გაზეთები იუწყებოდნენ, ნოემბრის დამდეგს სეულ-ჩიუსა და შანხაი-ფინხუანჩენის ახალ რკინის გზაზე მოძრაობა დაიწყოო. წინად იაპონელებმა შანხაიდან ფინხუანჩენამდე ორთქლით მავალი ტრამვაი გამართეს, ეხლა-კი იმის მაგივრად რკინის გზა გაუმართავთ. ფინხუანჩენიდან მდ. ტაიძ-ხემდე ისევ ტრამვაი მუშაობს. ასე რომ იაპონიის არმიებს ზამთარშიაც ორი რკინის გზა ექნებათ, [illegible] მდ. იალუსა და ლიაოხეს შესართავებს გაყინვის შემდეგ მარშალ ოიამას მაინც უფრო შორიდან დასჭირდება ყველაფრის ზიდვა. მაგრამ მაინც ბევრი რამ [illegible], რომ მარშალი ოიამა ბაზების დაშორებას არ უშინდება და მალე იერიშის მოტანას აპირობს რუსის არმიაზე. იაპონელებს უჩქარიათ ეხლავე, წლის გასვლამდე შეებრძოლნენ რუსის არმიას, სანამ გენ. კუროპატკინი თავის არმიას მოაწყობდეს. ამის გარდა, დაგვიანება მხოლოდ სასარგებლო იქნება რუსის არმიისათვის, რადგან გაზაფხულზე გენ. კუროპატკინს გაცილებით მეტი ჯარი ეყოლება იაპონელებზე. აკი გენ. კუროკი ეხლა უფრო ბეჯითად მოქმედებს რუსის მარცხენა ფრთის წინააღმდეგ.“

ახალი ამბავი

◆ გუშინ ღამ, დილის პირველ საათზე, ტფილისში ჩამოვიდა კავკ. მთავარმართებლის ახალი თანაშემწე გენერალი მალამა. სადგურზე დაჰხვდნენ გუბერნატორი და სხვა მოხელენი.

◆ შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადო საქმეთა დეპარტამენტმა დაავალა გუბერნატორებს, რამდენადაც შესაძლებელია 1905 წლის ხარჯთ-აღრიცხვებში არ შეიტანონ ყველა ის ხარჯი, რის გაღებაც ძალიან საჭირო არ არის. მიზეზი ხარჯის გადიდებისა ომია.

◆ ვილნოს გენერალ-გუბერნატორი ა. ა. ფრეზე დღეს, 17 ნოემბერს, საღამოთი მიემგზავრება ვილნოში. დღეიდან მთავარ-მართებლის თანამდებობას დროებით შეასრულებს იმის თანაშემწე გენერალი ი. მ. მალამა.

◆ 16 ნოემბერს მოხდა კავკასიის სამკურნალო საზოგადოების კრება. კრებამ, სხვათა შორის, მოისმინა მოხსენება ფარმაციის მაგისტრის ი. დ. კუპცისა ადამიანის ჯანმრთელობაზე „მახობელას“ გავლენის შესახებ. ბ-ნმა კუპცისმა განაცხადა, რომ მახობელას რუსული სახელი არა აქვს, შეიძლება იმიტომ, რომ რუსეთში ეს მცენარე არა ხარობსო. მახობელა უფრო გავრცელებულია ხმელთა შუა ზღვის სანაპირო ქვეყნებში. მომხსენებელს თვითონ დაუთესია მახობელა და შემდეგ დიდხანს უკვლევია იმისი თვისებანი. მახობელა პურს კარგ გემოს აძლევს და ამას გარდა ის თვისება აქვს, რომ დიდ ხანს სძლებს და არა ობდება. მარტო მახობელის მარცვალი ბ-ნს კუპცის უჭმევინებია ბაჭიებისა და გოჭებისათვის. 50 დღის კვების შემდეგ ბაჭიები და გოჭები ძალზე დასუსტებულან. მახობელას გული მწარე აქვს, ეს სიმწარე პურის გამოცხობის დროს ისპობა. გოჭები და ბაჭიები პირველის ჭამის შემდეგ მეორედ აღარ მიჰკარებიან ამ გულს. კუპცის თვითონ უჭამია მახობელის გული და თავბრუ დახვევია და გულის რევა აჰვარდნია. მომხსენებლის აზრით, მახობელის პურთან შერევა და საჭმლად ხმარება არ არის კაცის ჯანმრთელობისათვის მავნებელი, მაგრამ არც სასურველია მაინცა და მაინც ეს მცენარე ურიონ საჭმელ პურში. მახობელა გამოუკვლევია კავკასიის სამხედრო სამკურნალო ლაბორატორიას და ის აზრი გამოუთქვამს, რომ მახობელას პურში შერევა არა თუ მავნებელია, სასარგებლოც არისო, განსაკუთრებით ჯარისათვის, რადგან ამ გვარად გამომცხვარი პური არა ობდება და დიდს ხანს ძლებსო. კავკასიის სამხედრო უწყების უმაღლეს მთავრობას გადაუწყვეტია, ჯარში სახმარებლად შემოიღონ ადგილობრივი პური, მახობელა შერეული.

◆ 13 და 14 ნოემბერს ბაქოში ხოლერით ავად გახდა 17 კაცი, მოკვდა შვიდი. ზანგეზურის მაზრაში ავად გახდა ათი კაცი, მოკვდა რვა.

◆ გორის მაზრის უფროსმა აცნობა გუბერნატორს, რომ სადგურზე დაწესებულ იქნა უკვე დარაჯთა ბინა, სადაც 3 სამოქალაქო-საერობო დარაჯი იქნება. ესენი დაჰხვდებიან ხოლერიან[illegible] და ქალაქის თვითმმართველობის მიერ მიზომილ სასაფლაომდის მიაცილებენ. რადგან საკუთარ ეტლის შეძენა მიცვალებულთა გადასასვენებლად ძვირად ჯდებოდა, კერძო მეეტლე დავიჭირეთო.

◆ გუშინ, 17 ნოემბერს, ბელკინის უსახელო საზოგადოების დირექტორმა სთხოვა ტფილისის ქალაქის გამგეობას, დანიშნოს ეხლავე ტეხნიკოსთა კომისია მიხეილის ქუჩის ლიანდაგის შესამოწმებლად, რადგან 19 ნოემბრიდან ამ ქუჩაზე ვაგონების მიმოსვლა ელექტრონით მოეწყობაო. გუშინვე გამგეობამ აცნობა, რომ გზა ჯერ უნდა დაათვალიერონ გუბერნიის გამგეობის ტეხნიკოს-ინჟინრებმა, შემდეგ ისინი აქტს გამოგვიგზავნიან, განვიხილავთ მთელ საქმეს და მაშინ დავნიშნავთ ვაგონების მიმოსვლის დღესაო.

◆ ამ რამდენისამე ხნის წინად დიღომს, კნ. ე. ნ. მუხრან-ბატონის მამულში, რომელიც იჯარით აქვს აღებული თავ. ნიჟარაძეს, ვიღაცეებმა ცეცხლი წაუკიდეს თავ. ნიჟარაძის თივის ზვინებს და 6000 მანეთის ზარალი მიაყენეს. როგორც პოლიციის გამოძიებაშია ნათქვამი, ბოროტ-მოქმედება ჩაუდენია სოფ. დიღომის საზოგადოებას იმ აზრით, რომ თავიდან მოეშორებინათ თავ. ნიჟარაძე და თვითონ სოფელს აეღო იჯარით სათიბი ადგილები. ამ საქმის შესახებ გამოძიება სამაზრო ადმინისტრაციას საგუბერნიო მთავრობისათვის წარუდგენია.

◆ 16 ნოემბერს პირველი სხდომა ჰქონდა ტფილისის საბჭოს საფინანსო კომისიას 1905 წლის შემოსავალ-გასავლის აღრიცხვის განსახილველად. კომისიამ მცირეოდენის ცვლილებით განიხილა და დაამტკიცა შემოსავლის აღრიცხვის პირველი ოთხი მუხლი. კომისიამ უმთავრესი ყურადღება მიაქცია დასაფასებელ გადასახადების დროზედ მოუკრებლობას. დღევანდლამდე მცხოვრებლებზედ ამ გადასახადისა ჯერ ისევ წასული წლებისას 200,000 მან. კომისიამ საჭიროდ სცნო შემდეგს სხდომაზედ მოიწვიოს ქალაქის სავაჭრო-სამეურნეო ბიუროს უფროსი აგენტი და გამოჰკითხოს ამისი მიზეზები. კომისიამ დაადგინა, შეეკითხოს გამგეობას რა მდგომარეობაშია ამ ჟამად საქალაქო თვით-მმართველობის მოხელეთა შტატის რეორგანიზაციის შესახებ და მოასწრებს თუ არა გამგეობა ამის შესახებ მოხსენების წარდგენას საბჭოში იმ დრომდე, ვიდრე ეს უკანასკნელი შეუდგება ხარჯთ-აღრიცხვის განხილვას.

◆ გუშინ ტფილისის ქალაქის გამგეობამ გაუგზავნა პოლიცმეისტერს ქალაქის იმ მცხოვრებთა სია, რომლებზედაც დარჩენილია სხვა-და-სხვა გადასახადის ნედოიმკები და სთხოვა, პოლიციამ დახმარება გაუწიოს ფულის მოკრების საქმეში.

◆ თიანეთის მაზრაში შემდეგი ამბები მომხდარა ნოემბრის პირველ ნახევარში: 1. პირიქით ხევსურეთის სოფელ შატილში ვიღაც ბოროტ-მოქმედს თოფით მოუკლავს ხევსური ხვთისო ჭინჭარაული; დამნაშავე ვერ უპოვიათ; 2. პირიქით ხევსურეთშივე სოფ. მუცოში მცხოვრებ ცოთემა შინდელიკაშვილისათვის მთელი ზამთრის სარჩო-საბადებლით სავსე სახლისათვის ვიღაც ბოროტ-მოქმედთ ცეცხლი წაუკიდებიათ და სულ გადაუბუგავთ; 3. სოფელ ჯაბოთაში მცხოვრებნი ალექსი და ლაზარე მათურელები თავს დაეცნენ თიანეთის სოფლის საზოგადოების კანცელარიის ბარათების დამტარებელს მიხა ციცხელაურს და მძიმედ დააშავეს კეტებით; 4. სოფ. ზატილის მღვდელს იაშვილს ვიღაცამ ფანჯრიდან ესროლა თოფი სამჯერ, მაგრამ ვერც ერთხელ ვერ მოახვედრა.

◆ ალექსანდროპოლი. 16 ნოემბერს, დილის 7 საათ და 15 წუთზე, მე-563 ვერსზე საქონლის მატარებლიდან (№ 162) გადმოვარდა და ვაგონებს ქვეშ ჩავარდა სულთან-მაჰმად-ოღლი, რომელიც ძლიერ დაშავდა.

◆ დასაფასებელ გადასახადების [illegible] კომისიამ 16 ნოემბერს განიხილა თხოვნები დანიელოვისა, მირაქოვისა, ბეჟიძისა, ნატროვისა, ავაკოვისა სულ 8 კაცისა დასაფასებელ გადასახადების პატიების შესახებ და უყურადღებოდ დასტოვა ყველა თხოვნა.

◆ ქუჩების მომკირწყვლელ კომისიას 16 ნოემბერს სხდომა ჰქონდა თავმჯდომარის ამოსარჩევად. ენფიაჯიანცმა არ იკისრა თავმჯდომარეობა, რადგან ბევრი საქმე მაქვსო. არჩევანი სამშაბათისათვის გადაიდო. ამ დღეს კომისიამ დაადგინა, შეუდგეს შემუშავებას იმ ქუჩების სიისას, რომელიც 1905 წელს უნდა მოიკირწყლოს.

◆ 16 ნოემბერს, ორბელიანის ქუჩაზე, საღამოთი ცეცხლი გაუჩნდა სომხთა მღვდლის ღევონდ ხარაზიანცის სახლს. მალე გაიგეს ცეცხლის გაჩენა და შინაურის საშუალებით ჩააქრეს.

◆ ტფილისის დედათა მესამე გიმნაზიის შესავალში 15 ნოემბერს შეპარულა ტფილისის მცხოვრები სერგო ამირხანოვი და 4 ქალის კალოშები მოუპარავს და გაქცეულა, მაგრამ ქურდი მალე დაიჭირეს.

◆ ადელხანოვის ქარხანაში იატაკის დასაგებად მოუწვევიათ 15 ნოემბერს მუშა ალაბელ გრიგორიანცი. მუშას ბეტონის იატაკს ქვეშიდან აგური გამოუცლია, რის გამო იატაკი ჩანგრეულა, მუშა ქვეშ მოუტანებია და მოუკლავს. მკვდრის გვამი მიხეილის სამკურნალოს საანატომიო განყოფილებაში გააგზავნეს.

◆ კოჯორისა და წავკისის შუა, გზაზედ, ტფილისის მაზრის პოლიციას უნახავს გვამი ევროპიულ ტანისამოსში გამოწყობილ კაცისა. როგორც გამოურკვევიათ, ეს უცნობი კაცი მთვრალი ყოფილა, გზაზე დაცემულა და მომკვდარა. ერთი ხელი ნადირებს მიუჭამიათ. ვინაობა მკვდრისა ვერ გაიგეს.

◆ ჩუღურეთის ქუჩაზედ, ამირაღოვის სახლში ეზოდან 16 ნოემბერს ღამე ვიღაც ბოროტ-განმზრახველებს გამოუნგრევიათ ხის კედელი იაგორ შამევის სამანუფაქტურო მაღაზიისა, შესულან შიგნით, გაუტეხიათ კასსა და ამოუღიათ ფულად 100 მან. წაუღიათ 170 მანეთის საქონელი და გადამალულან. ქურდებს მაღაზიაში დარჩენიათ მხოლოდ ორი დანა და რაღაც იარაღი.

◆ 15 ნოემბერს მუხრანის ქუჩაზე სესიაშვილის სარდაფიდან ტფილისის მოქალაქეს გაბრიელ მახარაშვილს მოუპარავს 15 მანეთის ნივთები. ქურდს მოასწრეს და დაიჭირეს.

—

დღევანდელ ნომერთან ერთად ხელის მომწერთ ურიგდებათ **სურათებიანი დამატება № 271**. შინაარსი: „ლოტბარი და მაწანწალა“, კომედია გესი, თარ. ვ. შალიკაშვილისა, სხვა-და-სხვა ამბები; სურათები: სამუსიკო სკოლის დამაარსებელნი—ალიხანოვი, მიზანდარი და სავანელი, შენობა სამუსიკო საზოგადოებისა, კლასი სამუსიკო საზოგადოების ახალ შენობაში, საკონცერტო დარბაზი სამუსიკო საზოგადოებისა, გენერალი ნოგი პორტ-არტურის წინ, ადმირალი როჟესტვენსკი ტანჟერში და ერთი კარიკატურა.

ქუთაისის ახალი ამბები

◆ ქუთაისის ქალაქის მოურავი დ. ა. ლორთქიფანიძე უკვე გაემგზავრა პეტერბურგს ქალაქის საქმეების გამო. ბ-ნი მოურავი ორს დღეს ტფილისში დაჰყოფს.

◆ როგორც იქნა, გათავდა ქუთაისში ტელეფონის გამართვის საქმე. ქალაქის გამგეობამ და ინჟინერმა ალიბეგოვმა უკვე დასდეს ხელშეკრულობა და ბატონმა ალიბეგოვმა გირაოდ 1000 მანეთიც წარუდგინა ქალაქს.

◆ ამ დღეებში ქალაქის საბჭოს მიერ ამორჩეულ სამასწავლო კომისიას სხდომა ჰქონდა. კომისიამ, სხვათა შორის, დაადგინა: ა) დაევალოს თავ. ს. ნ. ლორთქიფანიძეს, ი. ი. ოცხელს, გ. ლ. ქორქაშვილს

ფელეტონი

ტფილისის სამუსიკო სასწავლებელი

ხალხის ცხოვრების საზოგადო განვითარებაში დიდი მონაწილეობა აქვს იმისავე სამუსიკოსა და სამხატვრო განვითარებას. დღეს არავინ არ იტყვის, განვითარებულ ცხოვრებისათვის მუსიკა საჭირო არ არისო. იმიტომ რომ მუსიკა მეტად ხელს უწყობს ადამიანის საზოგადო განვითარებას, აძლიერებს იმის სულიერს მოთხოვნილებას და, ყოველ-დღიურ ცხოვრების სიმწარისაგან შეწუხებული ადამიანი, საუკეთესო დასვენებასა და სიტკბოებას ჰპოვებს მუსიკის მწყობრსა და ნაზ ხმებში. უძველეს დროიდან ისე მოდის, რომ ხალხი თავის ვარამსა და გულის ნადებს უთუოდ სიმღერით [illegible]; სიმღერითვე და სხვა სამუსიკო ხმებით ცდილობს თავისს სულის მდგომარეობა გამოხატოს—მხიარულებაა იგი, თუ მწუხარება. ამიტომაც ხალხის განვითარების გამოკვლევაში მცირე ადგილი არ უჭირავს თვით იმის მუსიკას, რომელიც, კიდევ ვიმეორებთ, გზა-და-გზა აღბეჭდავს ხოლმე ხალხის სულიერ ცხოვრების მოძრაობასაც. ეჭვს გარეშეა, ცხოვრების ბეჯითი მკვლევარი გვერდს ვერ აუხვევს იმის გამოკვლევასაც, თუ რა მდგომარეობაში იყო და არის ხალხის მუსიკა. ცხადია: თუ ხალხი მუსიკას მოკლებულია და იგი განვითარების გზას არ ადგია, სულიერი მხარეც ამ ხალხისა უთუოდ ჰკოჭლობს, დამახინჯებულია.

განვითარებულმა ხალხებმა დიდი ხანია მუსიკის განვითარებასაც მიაქციეს დიდი ყურადღება და მუდამ ამის ცდაში ყოფილან, მაგრამ ამ ცდამ მეტად ფართო ადგილი წარსულ საუკუნეში დაიჭირა. მოცარტი, ბეტჰოვენი, ვაგნერი, ლისტი, შენო—(ევროპაში), გლინკა—(რუსეთში) ესენი [illegible] გენიოსები არიან წარსულის საუკუნისა, რომ ამათის მეოხებით მუსიკის განვითარება უმაღლეს წერტილამდე ავიდა, დიდი სულიერი ძალა მისცა ხალხებს.

ჩვენში მუსიკის განვითარებას თითქმის არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ—მუსიკის შესწავლა საჭიროდ არ მიაჩნდათ. პირველი საფუძველი ამ საგანს წარსულ საუკუნის ნახევარში დაედო: ნამესტნიკ ვორონცოვის დახმარებით ტფილისში დაარსდა თეატრი და იტალიური ოპერა. ტკბილი, ადვილი, ნარნარი ხმები იტალიურის მუსიკისა ადვილად გავრცელდა ხალხში და ბევრისათვის ხშირად სახმარებლად გახდა ქუჩა-ქუჩაც-კი. ბევრი ხანი არ გასულა—მუსიკის განვითარების მოთხოვნილებაც დაიბადა—და ტფილისში კიდეც დაარსდა პირველად 1871 წელს ეგრედ წოდებული „კავკასიის სამუსიკო საზოგადოება“, მუსიკის კარგად მცოდნის ბ-ნ კლუწერის მეთაურობით. ამ საზოგადოებასთან სამუსიკო სკოლაც იყო გამართული, მაგრამ მმართველებმა უფრო კონცერტების მართვას მიაქციეს ყურადღება, მუსიკის სწავლებას-კი ნაკლები შრომა დაუდეს. ამან ის გამოიწვია, რომ მოსწავლეთა რიცხვმა სულ უფრო-და-უფრო იკლო, კონცერტების მართვა-კი დიდ ხარჯებს იწვევდა, თანხა [illegible] და საზოგადოებაც მალე მოისპო.

იმ ხანებში ტფილისში ცხოვრობდა პეტერბურგის კონსერვატორიაში სწავლა-დამთავრებული აწ განსვენებული ხარლამპი ივანეს ძე სავანელი, რომელიც სახელმწიფო ბანკის აქაურს განყოფილებაში მსახურებდა და მცირედი თანამდებობა ეჭირა. სწორედ ამ კაცს მოუვიდა გაბედული აზრი ტფილისში სამუსიკო სკოლის გახსნისა და თავისი განზრახვა გაუზიარა თავისს მეგობრებს ალოიზ იოსების ძე მიზანდარსა და კონსტანტინე მიხეილის ძეს ალიხანოვს—აგრეთვე კონსერვატორიაში სწავლა-დამთავრებულთ. ამათ მეტად მოეწონათ ამხანაგს აზრი და ერთად სამივენი ხელი-ხელს ჩაკიდებულნი შეუდგნენ ტფილისში სამუსიკო სკოლის დაარსებას. თუმცა ამხანაგებს ნივთიერი ძალა არ შესწევდათ, მაგრამ ამას მაინც არ შეუშინდნენ და 1874 წელს სკოლა გახსნეს ეგრედ წოდებულს „სალდათის ბაზარში“, ვანქის ეკკლესიის სახლში. პირველ ხანებში დიდ გაჭირვებას იტანჯნენ, მაგრამ მეგობრულად დაკავშირებულმა ამხანაგობამ, საქმის სიყვარულმა და ერთგულებამ ყოველივე გაჭირვება სძლიეს და შესაჩნევი ნაყოფიც მოიტანეს. 1876 წელს ამხანაგებმა სკოლის პროგრამა შეავსეს და ნამესტნიკმა, დიდმა მთავარმა მიხეილ ნიკოლოოზის ძემ, წესდება ამ სკოლისა დაუმტკიცა. რაც ხანი მიდიოდა, სკოლა უფრო და უფრო განვითარებაში შედიოდა, მოსწავლეთა რიცხვი შესამჩნევად მატულობდა, მაგრამ საქმეს ხელს მეტად უშლიდა ის გარემოება, რომ შესაფერისი სადგომი არა ჰქონდა სკოლას და ადგილიდან ადგილზე გადადიოდა. უფრო და უფრო ცხადდებოდა, რომ სამუსიკო სწავლა-განვითარების მართლა მტკიცე ნიადაგზე დაყენებისათვის აუცილებლად საჭირო იყო სკოლის საკუთარი ბინის შეძენა. სკოლის დამფუძნებელნი შეეცადნენ და საზოგადოებას მიჰმართეს დახმარებისათვის. საზოგადოებამაც არ უღალატა ამათ იმედებს: ხელის მოწერით შეგროვდა 5 350 მანეთი; ქალაქის თვით-მმართველობამაც ყოველ წლიურად დაუნიშნა სკოლას შემწეობა 120 თუმანი. ეს იყო 1878 წელს და ამ დროიდან სამუსიკო სკოლაც ფეხს იმაგრებს; ამხანაგებმა დაიქირავეს ტერ-ღუკასოვის სახლი გრიბოედოვის ქუჩაზე და სკოლის პროგრამაც უფრო შეავსეს. მოსწავლეთა და მასწავლებელთა რიცხვმა შესამჩნევად იმატა: პირველ წელს 14 მოსწავლე ჰყავდა სკოლას და 1882 წელს ე. ი. მერვე წლისთვის ამათი რიცხვი 169-მდე ავიდა; მასწავლებელიც 16 ჰყავდა.

ამ კერძო სკოლის ასეთმა მოღვაწეობამ ყურადღება მიიქცია სამუსიკო სწავლა-განათლების ცენტრალ მმართველობისა რუსეთში, ე. ი. რუსეთის საიმპერატორო სამუსიკო საზოგადოების უმთავრეს მმართველობისა პეტერბურგში და ამ საზოგადოებამ 1882 წ. გამოჰგზავნა ტფილისს მ. მ. იპოლიტოვ-ივანოვი, რომელმაც უმთავრეს მმართველობის სურვილი გამოუცხადა ამხანაგობას, ჩვენი განყოფილება დააარსეთ ტფილისშიო. ამათაც დიდის სიხარულით მიიღეს ეს მოწვევა და 1883 წლის თებერვლიდან საამხანაგო სკოლა ხსენებულ საზოგადოების ტფილისის განყოფილების სამუსიკო სკოლად გადაკეთდა. ამ დროიდან სამუსიკო საქმე კიდევ უფრო განმტკიცდა ტფილისში. განყოფილების მეოხებით გახშირდა სიმფონიისა და კვარტეტის საღამოების მართვა იმ განზრახვით, რომ მუსიკის საუკეთესო მოღვაწეთა ნაწარმოები ხალხისათვის გაეცნოთ. ამ ჟამად განყოფილების მმართველებს ისე აქვთ მოწყობილი საქმე, რომ ყოველ წელს 4 სიმფონიური და 8 კვარტეტის საღამო იმართება ხოლმე,—ხან და ხან მეტიც. რაც უფრო დრო მიდის, ხალხიც მეტი ესწრება ამ საღამოებს და ეს სწორედ იმის მომასწავებელია, რომ საზოგადოება უფრო და უფრო იგებს განვითარებულ სამუსიკო ხმებს.

დღეს ტფილისის სამუსიკო სასწავლებელში მუსიკის სწავლება ისეა დაყენებული, რომ იმისი პროგრამა თითქმის უდრის კონსერვატორიის მოთხოვნილებას. მოსწავლეთა რიცხვი ყოველ წელს 350-მდეა, მასწავლებლისა 23.

ამ სკოლას ბევრი შესამჩნევი მემუსიკე გამოუზრდია და უძღვნია საზოგადოებისათვის: ზოგი ამათგანი საარტისტო მოღვაწეობას მიეცა, ზოგიც სამუსიკო მასწავლებლობას. ამ უკანასკნელთაგან საპატიო მოღვაწედ ითვლებიან ამავე სკოლის მასწავლებელნი: მარიამ ზაქარიას ასული ჯაბაშვილი, თამარ ისაკის ასული ტერ-სტეფანოვა, ანნა ივანეს ასული თულაშვილი. ბაქოს სამუსიკო სკოლის დირექტორისად ამ ჟამად ტფილისის სკოლაში სწავლა-დამთავრებული ქ-ნი ა. ნ. ერმოლაევაა; კავკავში სამუსიკო სკოლა აქვს ქ-ნ ლ. ქოთხუდოვისას; ოლგა ქალანთაროვისა პეტერბურგის კონსერვატორიაში მასწავლებლად—და მრავალი სხვა აქა-იქ გაფანტულნი არიან და სამუსიკო მოღვაწეობას ემსახურებიან. ბევრს ეცნობა მომღერალ ქალის ნინო ბიჭურინას სახელი, ქ-ნების: დიგვისა, მიხაილოვისა, პეტროვისა, კარისა, სტრახოვისა, შტეინგერისა, ტერ-ასატუროვისა და სხვ.—ყველა ამათ ტფილისის სკოლაში მიუღიათ სამუსიკო სწავლა-განვითარება. ამასთან რამდენი არიან

და ნ. ვ. მესხს შეიმუშაონ პროგრამა, თუ როგორ უნდა იდღესასწაულოს ქალაქმა საქალაქო პირველ-დაწყებით სკოლის დაარსებიდან 25 წლის შესრულების იუბილე; ბ) ეთხოვოს ქალაქის საბჭოს, მომავალი წლის სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვაში, თანახმად ვ. ი. პეტრიაშვილის თხოვნისა, შეიტანოს 230 მანეთი სასწავლებლისათვის ახალ სტოლების შესაძენად; გ) სასწავლებლების თვალყურის დევნება განაწილებულ იქმნას კომისიის წევრთა შორის: პირველ სავაჟო სასწავლებლის მახლობელ მეთვალყურედ დაინიშნა ს. დ. დათეშიძე, მეორე სავაჟო სასწავლებელში—გ. ლ. ქორქაშვილი და საქალო სასწავლებელში ი. ი. ოცხელი. სხდომაზე, სხვათა შორის, აღინიშნა, თუ რამდენად გაწვალებულნი არიან როგორც მასწავლებელნი, ისე მოწაფენი იმის გამო, რომ ხშირად მოწაფენი თავის დროზე ვერ შოულობენ ლევიტსკის სახელმძღვანელოს „Курсъ“-ს, რომელიც სავალდებულოდ გახადეს ქალაქის სასწავლებლებში, და ხშირად მოწაფეები 2—3 თვით გამცდარნი არიან, რადგან სხვა სახელმძღვანელოებით სწავლების ნებას არ იძლევიან. აღინიშნა ისიც, თუ რამდენად მავნებელი და დამამახინჯებელია ჩვენის ბავშვებისათვის ეგრედ წოდებული მუნჯური მეთოდი, რომელიც, გვეგონა, ლევიტსკის გადაყვანისათანავე მოისპობოდა, მაგრამ აღმოუჩნდნენ მფარველები და ეხლაც მაჯლაჯუნასავით აწევს სწავლის საქმეს. კომისიამ საჭიროდ დაინახა, სთხოვოს ქალაქის საბჭოს აღძრას დასაბუთებული შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ ქალაქის პირველ დაწყებით სასწავლებლებში მოისპოს ლევიტსკის მეთოდით სწავლება.

მეორე სავაჟო სასწავლებლის საპატიო მზრუნველად დაინიშნა მ. ლ. გველესიანისა.

◆ როგორც გავიგეთ, ქალაქის მეთაური ნ. ვ. ლანგი ქუთაისში რუსულ გაზეთის გამოცემას აპირებს.

◆ ქალაქის სასწორების შემოსავალი იჯარით გაიცა ორის წლის ვადით, წლიურად 2304 მანეთად.

◆ სათავად-აზნაურო ბანკში მდივნის ადგილზე ბ. გ. დოსაბერიძის ნაცვლად, რომელმაც ავადმყოფობის გამო სამსახურს თავი დაანება, მიიწვიეს თავ. დ. გ. წულუკიძე, რომელიც ამდენ ხანს საურთიერთო ნდობის საზოგადოების უფროს კასირად იყო.

◆ ქუთაისის ბაზრის ზედამხედველად ქალაქის გამგეობამ დანიშნა ი. ჯაფარიძე.

◆ ეს ოთხი დღეა ქალაქის თეატრში ზედიზედ წარმოდგენებს მართავს პეტერბურგის საიმპერატორო თეატრების მსახიობი მ. მ. პეტიპა, რომელსაც ძლიერ სუსტი დასი ჩამოჰყვა. წარმოდგენებს საზოგადოება ნაკლებად ესწრება.

პრესსა

ომიანობა მარტო იმით როდია საშინელი, რომ აურაცხელი ხალხი იღუპება და ადამიანი ნამდვილ მხეცს ემსგავსება. სხვა, არა ნაკლებ საზარელი, შედეგიც მოსდევს მას—მთელი ეკონომიური ცხოვრება ფერხდება და დიდძალი ხალხი, რასაკვირველია, თავის მარჯვენით მშრომელი, გარიყული და ულუკმაპუროდ რჩება. ვინც ომში მიდის, ცოტად თუ ბევრად მისი კუჭი მაინც უზრუნველყოფილია; სახლში-კი ვინ უნდა გამოჰკვებოს ეკონომიურ კრიზის გამო უსაქმოდ დარჩენილი? მართალია უსაქმოდ დარჩენილები [illegible] მაგრამ დღეს მათი რიცხვი ერთობ დიდია და მათი გაჭირვება კალმით აუწერელია. ომიანობით გამოწვეულ კრიზისით და უსაქმოდ დარჩენილ მუშების დიდი რიცხვით სარგებლობს ზოგი საქმის პატრონი და ჯავრს იყრის იმათზე, ვისაც-კი ოდესმე თავისი უკმაყოფილება გამოუცხადებია.

„პეტერბურგსკია ვედომოსტი“-ს სწერენ ნიჟნი-ნოვოგოროდიდან:

თქვენს გაზეთში უკვე აღნიშნული იყო ის დიდი რიცხვი უსაქმოდ დარჩენილ მუშებისა, დიდძალი ხალხი, ძალ-ღონით აღსავსენი და ხუსტები თავს იყრიან მუშების დასაქირავებელ კანტორაში. მათი შეხედვა სამწუხარო შთაბეჭდილებას ახდენს: ეგრე მალე ასვამს თავს ბეჭედს გაჭირვება და შიმშილი. შესცქერი უსაქმოდ დარჩენილს თვალებში და ერთს დაჟინებულ მოთხოვნას ჰკითხულობ:

— პური, პური!..

საქმის შოვნა ადვილი არ არის. ქარხანაში დიდის „სიფრთხილით“ იღებენ.

— ძლივს შევაგდერე თავი, მითხრა ერთმა მუშამ. მივედი ბუხჰალტერთან (ძლივს შემიშვეს) და ვეუბნები— ჩემი საქმე ასეა, ჩემი ბილეთი „სუფთაა“ (ვითომ შენიშვნა არ მიმიღიაო) და გაუსწრელი, ნება მომეცით ქარხანაში შემოვიდე.

— ვხედავ, რომ „სუფთაა“, მაგრამ მაინც სთხოვე ალექსეი პავლოვიჩს (მოურავს).

საქმე იმ ხანად ულექსეი-პავლოვიჩოდ გაკეთდა. მაგრამ პირველის ფულის მიღებისთანავე მოურავმა დამიძახა.

— ვინ მოგცა ნება ქარხანაში შემოსვლისა?

— ბუხჰალტერმა-მეთქი, ვუპასუხე.

— შეგიძლიანთ მიიღოთ ანგარიში და წახვიდეთ.

მეტი არა უთქვამს-რა. ბევრი ვსთხოვე, ვემუდარე—ცოლი მყავს, შვილები-მეთქი; ბოლოს, როგორც იქმნა, დამტოვა.

ასეთი ბედნიერი იშვიათია უსაქმოდ დარჩენილთა შორის. უმრავლესობა დგას, იცდის და არაფერს არ იღებს...

* * *

სხვათა შორის ხალხის კულტურის საზომად მიღებულია სიკვდილის რიცხვი ადამიანთა განსაზღვრულ რაოდენობაზედ მაგალითად, რუსეთში ათას სულზე ბევრად მეტი კვდება, ვიდრე ევროპის რომელსამე სახელმწიფოში. ამის მიზეზი ხალხის გაუნათლებლობა და სილატაკეა: ხალხი მეტად ცუდ პირობებში სცხოვრობს და ამიტომ ბევრიც იხოცება.

დაწინაურებულ ქვეყნებში მთავრობა და საზოგადოება დიდის ენერგიით ებრძვის სიკვდილს და წლით-წლობით მისი რიცხვი მცირდება.

რუსეთის ერთი ნაწილი, სახელდობრ ფინლანდიაც ამ დაწინაურებულ ქვეყნებში ჩასაწერია.

ფინლანდელ ექიმთა საზოგადოების წლიურ კრებაზე პროფესორმა ლაიტინენმა წაიკითხა მოხსენება შესახებ სიკვდილის რაოდენობისა ფინლანდიაში 1880 წლიდან დაწყებული, როცა ძალაში შევიდა ახალი სასანიტარო წესდება. ამ ოცდა ხუთის წლის განმავლობაში სიკვდილის რაოდენობა შემცირდა: ათს სულზე ეხლა ექვსით ნაკლები ჰკვდება, ვიდრე წინად. მომხსენებელმა გამოიანგარიშა, რომ, თუ წინანდელი პირობები არ შეცვლილიყო, ეხლა ფინლანდიაში ყოველ წელს 18 ათასი კაცით მეტი მოკვდებოდა. თუ ფულზე ვიანგარიშებთ და თითო კაცის სიცოცხლეს 3000 მარკად (მარკა 50 კ.) ჩავთვლით, ყოველ წლიური ეკონომია ხალხისა სანიტარულ პირობების გაუმჯობესების წყალობით უდრის 54 მილიონ მარკას; აქ ანგარიშში ჩაგდებული არ არის წამლობისა და დასაფლავების ხარჯი და სხვა. სიკვდილის რიცხვის შემცირებასთან გაიზარდა საშუალო ხანგრძლივობა ადამიანის სიცოცხლისა.

შეუპოვარი, უძლეველი სიკვდილიც-კი უკან იხევს კულტურის და განათლების წინაშე; იგი იქ არის გამარჯვებული, სადაც ადამიანის გონება დამონებული და სიბნელით მოცულია.

* * *

ბ. დუბინსკი („პეტ. ვედ.“ № 310) მწარედ უჩივის რუსულ საშუალო სკოლას, სამშობლო ენასა და ლიტერატურას არ ასწავლიან ჩვენ შვილებსაო.

საშუალო სკოლა ისე ცუდათ აცნობს შეგირდებს სამშობლო ენას, რომ ხშირად თანდაყოლილ ელემენტარულ ალღოსაც უფუჭებს. რუსული ენის ეხლანდელმა სწავლებამ ისე მოაშორა ჩვენი ახალგაზრდობა რუსულ ლიტერატურას, რომ თითქმის სრულიად არ იცნობენ ჩვენი ქვეყნის უდიდეს მწერლებს. და ეს კი იმას ნიშნავს, რომ არც თანამედროვე ცხოვრება იციან.

არ ახალია, ძველია ეს საყვედური, საშუალო სკოლისადმი მიმართული. საუკეთესო დრო „ზატონჩიკებსა“ და „მონომახებს“ უნდება და როდის უნდა მოიცალონ ლ. ტოლსტოისა და დოსტოევსკის შესასწავლად.

მაგრამ ჩვენ, ქართველებს, ასჯერ უფრო სატირალი გვაქვს საქმე. რაც არ უნდა იყოს, მონომახიცა და „ბილინებიც“ ადვილი გასაგებია რუს მოსწავლისათვის, და თუ რიგიანი მასწავლებელი შეხვდა, ახალ ლიტერატურასაც გაეცნობა. სულ სხვა მდგომარეობაშია ქართველი მოსწავლე, მისთვის „ზატონჩიკი“ და „ბილინებიც“ იგივე ბერძნულია, თუ უარესი არა. ამან კიდევ თქვენი პირი წაიღოს, მაგრამ იმავ დუბინსკის შემდეგ უეჭველ აზრზე რას იტყვით?

ვერავინ ვერ უარჰყოფს, რომ საზოგადო განათლების ყველა საგნებიდან პირველი ადგილი სკოლაში უთუოდ უნდა დაუთმოს სამშობლო ენასა და ლიტერატურას. ჩვენი სკოლა რაღას სჩადის ამ მხრივ?

თუ ბ. დუბინსკის უფლება აქვს ეს პატრიოტიული კითხვა მისცეს საშუალო სკოლას, ჩვენ ათჯერ მეტი უფლება გვაქვს. სად არის ქართველის სამშობლო ენა და ლიტერატურა, რომელსაც „პირველი ადგილი უნდა დაუთმოს სკოლაში საზოგადო განათლების ყველა საგანთა შორის“? ჩვენი მოსწავლე ამ გვარად მოკლებულია უმთავრეს იარაღს ბუნებრივ განვითარებისას.

სურათების გამოფენა

კავკასიის ხელოვნების მფარველმა საზოგადოებამ სურათების მეთოთხმეტე გამოფენა გამართა. ისტორიულ მუზეუმის ოთხსავე კედელზე 216 სურათია ჩამოკიდებული და მუზეუმის თავიდან ბოლომდის 22 ქანდაკებაა ჩამწკრივებული. ეხლანდელი გამოფენა ამავე საზოგადოების [illegible] გამოფენასთან ახალს არას წარმოადგენს: სურათების უმრავლესობა პეიზაჟია, პეიზაჟის უმრავლესობა ეტიუდება, ეტიუდების უმრავლესობა კი სულ ერთისა და იმავე უფერულ და მოსაწყენ ჰანგების განმეორებაა. საკვირველია ჩვენი მხატვრების ერთფეროვნება და სიწვრილმანე: უკანასკნელ სამ ოთხ გამოფენაზე მხოლოდ და მხოლოდ ეტიუდებსა და ესკიზებს ვხედავდით, თითქოს ეს ეტიუდები და ესკიზები ის მოსამზადებელი შრომა და მასალა იყო, რომლის შეერთებითა და შეკვრით დღეს თუ ხვალ მხატვარს ერთი დიდი და მთლიანი სურათი უნდა შეექმნა. მაგრამ ეს მთლიანი და დიდი სურათები არსად სჩანს, ეტიუდები ყოველ გამოფენაზე უმრავლესზე უმრავლესია, მართალია, დიდი სურათები თითქმის ყოველ გამოფენაზე იყო, მაგრამ ეს სურათები მხოლოდ გადიდებულ ეტიუდებს წარმოადგენდნენ და მეტს არაფერს.

ეხლანდელ გამოფენაზე თხუთმეტმა მხატვარმა გამოიტანა თავისი ნაწარმოები. სურათების ერთი მეხუთედი (38 სურ.) ბ-ნ ბაშინჯაგიანს ეკუთვნის. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ბ-ნ ბაშინჯაგიანს მხატვრის უმთავრესი თვისება შემოქმედებითი ნიჭი ძალიან ნაკლებად აქვს და როგორც პეიზაჟისტი ნამდვილი ორტოდოქსალი რომანტიკოსია. ამ მხატვარს თავისუფლად შეუძლიან სურათის სიუჟეტი ბუნებასა და იმის საიდუმლოებებში-კი არ ეძებოს, არამედ ბუნების ესა თუ ის კუთხე ფოტოგრაფიულის აპარატით გადმოიღოს და მერე წინდაწინვე განზრახულ ფერით გაანათოს. მხოლოდ იმისი ხელოვნება იმით უნდა გამოიხატებოდეს, რომ არჩეული ფერები ნაზი და თვალწარმტაცი იყოს და, მაშასადამე, თვალსაც ესიამოვნოს. ბ-ნ ბაშინჯაგიანს, როგორც თითქმის ყველა მხატვარს, თავისი ამპლუა აქვს: მდორე, წყნარი და მთვარიანში წყალი, რომელშიაც ღამის ღრუბლების ანარეკლი წინდებულად მოსჩანს. ბ-ნ ბაშინჯაგიანს ორი უშველებელი სურათი, ანუ, უკეთ რომ ვსთქვათ, ორი უშველებელი ეტიუდი, აქვს (№№ 39 და 40), თითო 1000 მანეთად დაფასებული. ჩვენის აზრით კი, ეს „სურათები“ ორ-ორ მტკავლიან ტილოზე რომ დახატულიყო, დიდ სურათებისგან მხოლოდ იმით გაირჩეოდა, რომ 1000 მანეთის მაგიერად ბაშინჯაგიანი გაცილებით ნაკლებად დააფასებდა. ცოტად, თუ ბევრად არა უშავს-რა იმის სურათებს: „ნაძვის ტყეა წვიმის შემდეგ“ (№ 56) და „სიწყნარე“ (№ 60).

ბ-ნ ზახაროვსაც ბლომად უმუშავნია (26 სურ.). ამ მხატვარზე იანვარში ვწერდით: „ზახაროვი ბაშინჯაგიანისა და ზანკოვსკისაგან იმით განირჩევა, რომ იგი ახალ გზას ეძებს და ადრე თუ გვიან, უეჭველია, მეორე ჯგუფს, ე. ი. ფოგელსა და ამხ. შეუერთდება. ჯერ ჯერობით-კი იგი ორ ჯგუფს შუა სდგას და ეხლანდელი მისი სურათები თავის ნაზ ფერებით უფრო პირველ ჯგუფს, ე. ი. ბაშინჯაგიანსა და ამხ. უერთდება“. ჩემი იმედი, როგორც ბ-ნ ზახაროვის ეხლანდელ სურათებიდან სჩანს, მართლდება. იანვარში ბ-ნ ზახაროვი, როგორც ვწერდი, ბ-ნ ბაშინჯაგიანის სკოლას ეკუთვნოდა, ეხლა-კი, პირ-იქით, იგი უფრო ბ-ნ ფოგელის სკოლაში უნდა ჩაირიცხოს, თუმცა ზოგიერთი სურათი (დიდი სურათი—„კავკასიის ადმხები“ და ზოგიერთა სხვა) ისევ ბ-ნ ბაშინჯაგიანის სკოლის ზედ გავლენით არის დახატული; წამლები თხლად არის წასმული და, როგორც ეტყობა, სამხატვრო იარაღიც გაბედულად ვერ არის ნახმარი. სამაგიეროდ, იმისი ეტიუდები „სურამში“ (№ 80) და ბაკურიანთან“ (№ 83) პირველზე გაცილებით საინტერესოა. ბ-ნ ზახაროვის სურათებში ყველაზე უფრო კარგია „ბორჯომის ხეობაში“ (№ 78) და სამთვლე სურათი—„ყვავილები“. საზოგადოდ ბ-ნ ზახაროვი ძალიან კარგს იზამს, რომ ბ. ბაშინჯაგიანის სკოლას ერთხელვე ჩამოშორდეს.

ბ-ნმა ზომერმა ერთის მხრივ დიდი ნაბიჯი წარსდგა წინ, მეორეს მხრივ კი ერთსა და იმავე წერტილზეა გაჩერებული. ეხლა ბ-ნი ზომერი უფრო კარგად ანათებს, ანუ, უკეთ რომ ვსთქვათ, მზით განათებულ ბუნების გადმოცემა ძალიან ეხერხება და ამას გარდა, მრავალ ფერს ხმარობს. საზოგადოდ, შუა აზიის და კავკასიის ცხოვრება და ხალხი საკმაოდ კარგად აქვს შესწავლილი. სურათებზედაც კარგად არის გადმოცემული სამხრეთის ჰაერი, მრავალფეროვანი ბაზარი და ბუხარის და ხივის ათასნაირად აჭრელებულ ტანისამოსში გამოწყობილი მცხოვრებნი. ყველა ეს მხატვრის წარმატებაა, მაგრამ მოსაწონი არ არის იმისი ერთი თვისება: თავის საგანს მეტის მეტ დაკვირვებით ეძებს და ყოველ უმნიშვნელო წვრილმანსაც კი მისდევს, რის გამოც ავტორი, უეჭველია, სამხატვრო იარაღის მონად ხდება და თავის სამხატვრო ძალასა და ენერგიას ამ იარაღს უქვემდებარებს. ამის გარდა იმის სურათებს რაღაც უმოძრაობა ეტყობა და ექსპრესსიის ნატამალი ხომ სულაც არა სჩანს. განათების მხრივ და ფერების შეხამებით საინტერესოა იმისი სურათები: „გადასახლება“ (№ 104), ქუჩა „ართვინში“ (№ 106) „ქუჩა ტაშკენტში“ (№ 111) და „დასვენება“ (№ 110).

ბ-ნ არტაზოვს მხოლოდ რამდენიმე ეტიუდი აქვს, და ამ ეტიუდებში ძალიან კარგია „ნორმანდიელი ბებერი“ და „ქ-ნ კ-ს პორტრეტი“. ეტიუდებში ძალიან დახელოვნდა ქ-ნი შულცე. მისი ტიპები თითქმის ყოველთვის დაჩაგრულთა და ღარიბთა ცხოვრებიდან არის აღებული. ქ-ნ შულცეს განსაკუთრებით ეხერხება ბავშვების სახის გამომეტყველების გადმოცემა, სურათის შესაფერად განათება და ჩრდილის აღნიშვნა. საუცხოოა მისი ეტიუდები №№ 214, 215 და 216.

გამოფენაზე ბ-ნ ფოგელის სურათებს განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ბ-ნი ფოგელი ერთ დროს კარგი მხატვარი დადგება. ჯერ-ჯერობით კი ეჭვს გარეშეა, რომ უეჭველი შემოქმედებითი ნიჭი აქვს და ხელოვნების დანიშნულებაც ღრმად და ფართოდ ესმის. იმის სურათებზე აშკარად მოსჩანს ავტორის სულიერი განწყობილება, ღელვა და მისწრაფება. ფოგელი მხატვრობაში ლირიკოსია. ავტორის ზემოხსენებული თვისებები სავსებით გამოიხატა იმის ეხლანდელ დიდ სურათში—„Сырой вечеръ“ (№ 171). თხელი ნისლი, ნესტიანი ჰაერი და უფრო კი გუბეები და წყალი საუცხოოდ, მშვენივრად არის დახატული. სურათს ის იდუმალი მიმზიდველი ძალა აქვს, რომელიც კაცს იპყრობს და ისეთს სულიერ მდგომარეობას იწვევს, რომელიც ავტორს ამ სურათის შექმნის დროს ჰქონია. ბ-ნ ფოგელის დანარჩენი სურათები მხოლოდ პატარა, მაგრამ ნიჭიერი ეტიუდებია. საუცხოოა იმისი ეტიუდები: №№ 197, 198, 201, 206, 176, 194, 175 და სხ.

ბ-ნ სკლიფასოვსკის თამამად შეუძლიან თავის სურათები ფოგელის სურათების გვერდით ჩამოჰკიდოს; ერთმანეთს არ გაახუნებენ, პირიქით, უფრო დაამშვენებენ და მაყურებელზე უფრო მთლიანსა და გამორკვეულ შთაბეჭდილებას მოახდენენ. ტფილისელ მხატვრებში ეს ორი იმპრესიონისტი თავის მიმართულებით მკაფიოდ და ნათლად ირჩევიან. ამ ორ მხატვარს ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავდათ, და ეხლაც ჰყავთ, მაგრამ ორივემ, მათდა საქებად, მხატვრობაში მონობის მომხრეთ ყურადღება არ მიაქციეს და ერთხელვე არჩეულ გზით თავიანთ მიზნისაკენ მიისწრაფვიან.

ძალიან საინტერესოა ბ-ნ სკლიფასოვსკის სურათი—„აგარაკი“ (№ 146), რომელიც სრულ იდილიას ახდენს მაყურებელზე და ორი სურათი, რომლებზედაც შესანიშნავად არის დახატული ძროხა და ხბოები (№ 152 და 149).

გამოფენაში მონაწილეობას იღებს მხოლოდ ერთი ქართველი მხატვარი—ბ-ნი მრევლიშვილი, რომელსაც მხოლოდ ერთი სურათი აქვს—„კალის კრეფა“ (№ 132). სურათის აზრი მშვენიერია, მომქმედ პირების სახის გამომეტყველებაც და პოზაც საუცხოოა, მაგრამ ბ-ნმა მრევლიშვილმა თავის უმთავრესი ნაკლი მაინც ვერ მოიშორა: წამლებს ნაკლებად ხმარობს, სურათი გაუნათებელია და ამის აუცილებელი შედეგი კი ჩრდილების უქონლობაა. ბ-ნმა მრევლიშვილმა მთელი თავის ყურადღება ჩრდილებისა და განათებულ ადგილების აღნიშვნას უნდა მიაქციოს, თორემ იმის სურათებს სიცოცხლე და ბუნებრიობა აკლდება. ქანდაკების განყოფილება მაინც და მაინც არა კოჭლობს. კარგია ბ-ნ მიქაელიანის „გამზრდელი და ბავშვი“ და „[illegible] ქანდაკება ხელ საქმობს“. ძალიან კარგია ბ-ნ [illegible] „თხუნჯები“ და მშვენიერია „პუშკინი და მიცკევიჩი“.

გამოფენაზე ბ-ნთ თოიძისა, გაბაშვილისა და ნიკოლაძის ნაწარმოები არა სჩანს.

თავისუფალი მონა

რუსეთის ქრონიკა

◆ საერო განათლების სამინისტროს შეუმუშავებია პროექტი ქალთა საპროფესიონალო განათლების რეფორმისა. ამ პროექტს ნოემბერშივე განიხილავს განსაკუთრებული კომისია ტაველდაროვის თავმჯდომარეობით. განზრახულია, სხვათა შორის, მოამზადონ ხელ-საქმის განათლებული მასწავლებელნი. ამ მასწავლებელთათვის დააწესებენ ცენზს. პროფესიონალურ ცოდნის გარდა ხელ-საქმის მასწავლებელს მოსთხოვენ ქალთა გიმნაზიის კურსის ტოლა საზოგადო განათლებასაც. ამისთვის ფიქრობენ დააარსონ განსაკუთრებული კურსები, სადაც ქალთა გიმნაზიებში სწავლა-დამთავრებულნი შეიძენენ საპროფესიონალო ცოდნას. („რ. ვ.“).

◆ განზრახულია მომავალ წელს პეტერბურგში მოახდინონ სრულიად რუსეთის მკურნალ ქალთა კრება. ერთი უმთავრესი საგანი, რომელიც კრებამ უნდა განიხილოს, შუამდგომლობა იქნება: ქალებს ნება მიეცეთ საპროფესორო მოღვაწეობისა არა მარტო სამკურნალო ინსტიტუტებში, არამედ უნივერსიტეტების სამკურნალო ფაკულტეტებზედაც. („ბ. ვ.“).

◆ როგორც „ნოვ. ვრ.“, „დვინსკი ლისტოკი“ და „რუსკ. ვედ.“ გადმოგვცემენ, 31 ოქტომბერს, 1 და 2 ნოემბერს დვინსკში სათადარიგო ჯარის-კაცებს უწესოებანი მოუხდენიათ. „დვინსკი ლისტოკი“ სწერს, რომ ამ უწესოებებს მარტო ჯარისკაცთა თავგასულობით ვერ ავხსნითო. ზოგიერთი სათადარიგონი ხმა მაღლა ამბობდნენ ხალხში, მიწები არ გვიფარგა, მშივრები ვართ და სხვა. უწესოებანი სწორედ ამ უკმაყოფილებამ გამოიწვიაო.

◆ ბალაშოვის ქალაქის საბჭოს კრებებს ძალიან ხშირად აკლდებოდნენ თურმე ზოგიერთი ხმოსნები, ამასთან „ქალაქის მამანი“ თავიანთ დაუსწრებლობის საპატიო მიზეზებსაც არ ასახელებდნენ. ამ დაუსწრებლობით ბევრი საქმე განუხილველი რჩებოდა. მოთმინებიდან გამოსულმა საბჭომ ბოლოს დაადგინა, თითო მანეთით დააჯარიმოს ხოლმე ის ხმოსნები, რომელნიც არ ინებებენ საბჭოში მისვლას და კრებაზე დასწრებას. ხმოსნებს ეგონათ, ეხლა კი მოვაწყობთ საქმესაო, მაგრამ სარატოვის გუბერნატორმა არ დაამტკიცა საბჭოს დადგენილება. ამასთან დაუმტკიცებლობის მიზეზიც-კი არ აცნობა საბჭოს. („ნოვ.“).

◆ 19 ნოემბერს ქ. ხერსონში დაიწყება საგუბერნიო საერობო კრება. სხვათა შორის, ამ კრებისთვის დაუმზადებიათ ერთი საინტერესო მოხსენება. იგი შეეხება შტუნდისტთა შვილების გამორიცხვას ადესის ერობის სკოლებიდან. ეს საქმე ასე მომხდარა. 1903 წელს, ნოემბერს, სახალხო სკოლათა ინსპექტორის განკარგულებით ადესის მაზრის ოთხ საერობო სკოლიდან დაითხოვეს 84 მოწაფე, ესე იგი ნახევარი იმ მოსწავლეებისა, რაც სკოლაში იყო. ინსპექტორმა ასეთი საქმე ჩაიდინა იმ განკარგულების ძალით, რომელიც მოახდინეს შტუნდისტების შესახებ საერო განათლების სამინისტრომ და უწმ. სინოდის ობერ-პროკურორმა. („რ. ვედ.“).

◆ ფიქრობენ, უმაღლეს სასწავლებლებში შესასვლელად საკონკურსო ეგზამენების ნაცვლად სხვა უფრო რაციონალური რამე დააწესონ. ამ საგნის განხილვას საერო განათლების სამინისტროში უკვე შეუდგნენ. შეუდგნენ აგრეთვე მეორე საკითხის განხილვას: საშუალო სასწავლებლების უმაღლეს კლასებში მასწავლებლობის ნება მიეცეთ იმ ქალებს, რომელთაც უმაღლესი განათლება მიუღიათ.

◆ ზოგიერთი ერობებმა შუამდგომლობა აღძრეს, ეპატიოთ გლეხებს სანადელო მიწების დასახსნელი ფული. ამ საგნის განხილვას უკვე შეუდგა ფინანსთა სამინისტრო.

◆ გზათა სამინისტროს აზრადა აქვს შესცვალოს წესები რკინის გზების მოსამსახურეთა სამუშაო დროს შესახებ. ამისთვის ინჟინერის კეტრიცის თავმჯდომარეობით შესდგა განსაკუთრებული კომისია. სახაზინო და კერძო რკინის გზებმა ამ საკითხის შესახებ სამინისტროს თავიანთი აზრი წარუდგინეს.

◆ ქ. ვილნოში ამ უკანასკნელ დროს ერთგვარი „ქურდობა“ შემოიღეს: ბოროტ-განმზრახველნი შედიან სახლში, საიდუმლო პოლიციის აგენტებს ირქმევენ და გაჩხრეკის მუქარით ფულებს ართმევენ შეშინებულ მსხვერპლთ. პოლიციას საჭირო ზომები მიუღია ბოროტ-განმზრახველების შესაპყრობად.

მომღერალთა გუნდისა და ორკესტრების ლოტბარებად.

აი, ასე ჩქარა ნაბიჯი გადადგა სამუსიკო განვითარებამ აქ და ამდენი ნაყოფი მისცა ტფილისის სამუსიკო სკოლამ, რომელიც განამტკიცა და ფეხზე დააყენა კერძო კაცთა ერთგულმა მოღვაწეობამ და საზოგადოების დახმარებამ. მხოლოდ ამ დახმარებამ და თანაგრძნობამ მოახერხებინეს სკოლის მმართველებს საკუთარი სახლი აეშენებინათ. თავისი საკუთარი ფული ჰქონდათ 27 ათასი მანეთი, მაგრამ ეს რას ეყოფოდათ! ბევრი ეცადეს, მთავრობას დახმარება აღმოეჩინა, მაგრამ ვერას გახდნენ და ისევ საზოგადოებას მიმართეს. ხელის მოწერით 58 ათასი მანეთი შეაგროვეს. აქედან 10 ათასი მანეთი შესწირა ტფ. საკრედ. საზოგადოებამ, 9 ათასი მანეთი სტ. და იაკ. კონსტ. ძეთ ზუბალაშვილებმა; ხუთ-ხუთი ათასი მანეთი შესწირეს: ა. ი. მანთაშევმა, ვ. მ. თამამშევისამ და ძმ. მირზოევების საამხანაგო კანტორამ; ორას-ორასი თუმანი: კ. მ. ალიხანოვმა და მ. ო. არამიანცმა; კავკ. საფეიქრო საქონლით მოვაჭრე ამხანაგობამ 1500 მანეთი; საკომერციო ბანკმა და გ. მ. თამამშევმა ას-ასი თუმანი. 1899 წელს სკოლამ მიწა შეიძინა გრიბოედოვის ქუჩაზე, დაუჯდა სულ 41.692 მან. 71 კაპ. 1901 წელს შეუდგნენ შენობის აგებას და შარშან აგვისტოში სამუსიკო სკოლა თავისს საკუთარს სახლში დაბინავდა, თუმცა ჯერ კიდევ სრულად გამართული არ იყო; საკონცერტო დარბაზის დასრულებას ბევრი აკლდა. რაც ფული ჰქონდა სკოლას, სულ შემოელია, ასე რომ დარბაზი გაუკეთებელი ურჩებოდათ. უმთავრეს დირექციას სთხოვეს შემწეობა, მაგრამ იქიდან უარი მოუვიდათ. ამ გაჭირვებულ მდგომარეობის დროს შემწეობა აღმოუჩინა სკოლის სამმართველოს თავმჯდომარემ კ. მ. ალიხანოვმა, რომელმაც თავისს თავზე მიიღო საკონცერტო დარბაზის დამთავრება, მოწყობა და გამართვა. ყველა ამაზე ბ-ნმა ალიხანოვმა დახარჯა თავისს ჯიბიდან 16 ათასი მანეთი, ასე რომ წინად შეწირულ 200 თუმანთან ერთად სულ 18 ათასი მანეთი შესწირა ტფილისის სამუსიკო სკოლას.

წარსულ ოქტომბრის 24-ს ეს სკოლა ოფიციალად გახსნეს. დიდ-ძალი საზოგადოება დაესწრო. კრებას თავმჯდომარეობდა ვიცე-პრეზიდენტი რუსეთის სამუსიკო საზოგადოებისა დიდი მთავარი კონსტანტინე კონსტანტინეს ძე, რომელმაც ჯერ კიდევ პეტერბურგიდან რესკრიპტით და აქაც სიტყვიერად დიდი მადლობა მიუძღვნა ბ-ნ ალიხანოვს უხვის შეწირულებისათვის. სკოლის მმართველობამაც დაადგინა სხვათა შორის: საკონცერტო დარბაზის ერთ-ერთ კედელს მარმარილოს ფიცარი მიეკრას ზედ წარწერით: „ეს დარბაზი აშენდა და შეკეთდა რუსეთის საიმპ. სამუსიკო საზოგადოების ტფ. განყოფილების თავმჯდომარის კ. მ. ალიხანოვის საფასურით“.

ჩვენის გაზეთის დღევანდელ „სურათებიან დამატებაში“ დასურათებულია: ტფილისის სამუსიკო სკოლის დამაარსებელნი, თვით სკოლის შენობა, გარედან გადაღებული, საკონცერტო დარბაზი და ერთი საკლასო ოთახი.

ა. —ძე.

წერილები

ხოფ. დვანი (ქართლი). ჩვენ სოფელში, რომელიც ფრონის ხეობაში მდებარეობს, 70-მდე კომლია, მაგრამ ვერ შეხვდებით ვერც ერთ წერა-კითხვის მცოდნე გლეხს. სკოლა არა გვაქვს და სწავლა-განათლების ნაცვლად აქეთ გავრცელებულია ათას გვარი ცრუ-მორწმუნეობა და ქურდ-ბაცაცობა. ჩვენში ვისაც პატარა შეძლება აქვს, ის ითვლება სოფლის მეთაურად, მეთაურები კი სულ იმასა სცდილობენ, როგორ დაჩაგრონ თავიანთზე ღარიბნი. თუ კაცს საჩივლელი აქვს რამე აქაურ მოსამართლესთან, შენი მტერი, იმას აწამებენ კანცელარიაში სიარულისაგან, რომელიც ექვსი ვერსის მანძილზეა სოფ. წუნარში. ისე გაუძნელებენ საქმეს, რომ გათავებას ველარ ეღირსება. წელიწადი სრულდება, რაც წუნარის საზოგადოებამ მამასახლისად ამოირჩია ს. ნულის მცხოვრები ზ. ჟამიერაშვილი. სამწუხაროდ, ისეთი ვერ გამოდგა, როგორსაც მოელოდნენ.

აქეთ შარშანდელს წელიწადს უჩიოდნენ, მოსავალი არ მოვიდაო, მაგრამ შარშანდელს რა უშავდა! წრეულს რაც მოვიდა, ისიც უბარაქო იყო და გასავალი არა ჰქონდა. ზოგს გაზაფხულამდის არ მიჰყვება და უნდა აიღოს ვალი საკვების სასყიდლად და გაზდეს ჩარჩ-წურბელების მსხვერპლი.

მეთვალყურე

ფოთი. ქალაქის მოურავის მოადგილემ ი. ს. ფანცხავამ, რომელიც ქუთაისში განსვენებულ ალ. ნანეიშვილის ადგილზე მიიწვიეს, უარი განაცხადა ჭიათურის შავი ქვის მწარმოებელთა საბჭოს მდივნის თანამდებობაზე, რადგან საბჭოს ხმოსნებმა, შეიტყეს თუ არა, ბ-ნ ფანცხავას ქუთაისში იწვევენო, სთხოვეს ისევ ქალაქის თავის მოადგილედ დარჩენილიყო და განეგრძო თანამდებობის შესრულება.

თერთმეტ ამ თვეს, ქალაქის გამგეობამ განიხილა ათ გურულ გლეხის თხოვნა. ესენი თხოულობდნენ, ქალაქს იჯარით სამოსახლო ადგილები მიეცა. გამგეობა, როგორც საზოგადოდ ყოველთვის, ეხლაც სიამოვნებით მიეგება გადმოსახლებულთა სურვილს, რომელთაც სამოსახლო ადგილები დაურიგა ხელმისაწვდენ ფასად. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ამ ბოლო დროს საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხის მცხოვრებნი ძლიერ ხშირად ეტანებიან ჩვენ ქალაქს, რომ სამუდამოდ სამოსახლო ადგილები შეიძინონ.

ი.

ხ. ღორეშა (იმერეთი). ჩვენ სოფელში არსებობს მარტო ერთ-კლასიანი საეკლესიო სკოლა, სადაც მთელი ორი წელიწადი სწავლა შეჩერებული იყო. ამის მიზეზად შენობის აუგებლობას ასახელებდნენ. ორი წლის შემდეგ დაიწყეს ახალი შენობის აგება, მაგრამ დიდხანს გააგრძელეს. სამწუხარო ის არის, რომ მოწაფეებს, რომელნიც წარსულ წლებში სწავლობდნენ სკოლაში, ორი წლის განმავლობაში სრულიად დაუვიწყებიათ წერა-კითხვა. ამ სკოლაში დაინიშნა წელს ქუთაისის სასულიერო სემინარიაში კურს დამთავრებული. აგერ 15 წელიწადი მეტი გადის, რომ ადგილობრივ სკოლას არა ღირსებია მასწავლებლად საშუალო სასწავლებლებში კურს დამთავრებული. წარსულ წლებში ინიშნებოდნენ ორკლასიან ან ოთხკლასიან სასულიერო სკოლებში კურს დამთავრებულები და სწავლის საქმეც ვერ იყო კარგს ნიადაგზე დაყენებული. ეს იქიდანაც სჩანს, რომ მოწაფეებმა, რომელთაც დაამთავრეს პირველდაწყებითი სწავლა და მოისურვეს სხვა-და-სხვა სასწავლებელში შესვლა, ვერ მოახერხეს.

უგზო-უკვლობამ სულ გაუჭირა ჩვენს სოფლელებს საქმე. არც ერთი მხრიდან კარგი საურმე გზა არ აქვთ, რომ ჩაიტანონ თავიანთი ნაწარმოები ბაზარზე და გაჰყიდონ. წელს აქეთ პურისა და ღვინის მოსავალი შარშანდელზე უკეთესი იყო.

არისტოტელი

ქალ. არხანგელსკი. უკანასკნელ ორ-სამ თვეებში ბევრი გადაკარგული პირი იქმნა განთავისუფლებული არხანგელსკის გუბერნიიდან. აგვისტოში უმაღლეს მანიფესტის ძალით განთავისუფლებულ იქმნა პოლიციის ზედამხედველობისაგან სამოცდა ექვსი კაცი და ქალი (ყველა მცირე წლოვანი). თხუთმეტი კაცი გაანთავისუფლეს უმაღლეს განკარგულებით, ოცდა ხუთი ახ. ალ. მინისტრის თავ. სვიატოპოლკ-მირსკის განკარგულებით. ამას გარდა განთავისუფლებულ იქმნა ოთხმოცი კაცი უმაღლეს ბრძანებით (არა მანიფესტით). ასე რომ უკანასკნელ ხანებში განთავისუფლებულ იქმნა სულ 230 პოლიტიკური დამნაშავე. დარჩა კიდევ არხანგელსკის გუბერნიაში 550 კაცი და ქალი. ზემო აღნიშნულ ოთხმოც განთავისუფლებულთა რიცხვში ურევია შემდეგი ქართველები: მიხეილ სპირიდონის ძე კობერიძე (სტუდენტი მეოთხე კურსისა), გიორგი გაბრიელის ძე [illegible]ბელიძე (ფელშერი), ვლადიმირ იაშვილი („კანტორშჩიკი“), კირილე კახეთელიძე და სომეხი ავაკიანცი. მგონი ამ მოკლე ხანებში განთავისუფლებული იქმნება ყველა გადმოსახლებული პოლიტიკური დამნაშავე.

კიკნა

მანგლისი. ტფილისის გუბერნიაში, მგონი, სოფელი არ არის, რომ ქურდ-ბაცაცებისაგან აკლებას არ უჩიოდეს. მხოლოდ ერთი მანგლისი იყო ამ უბედურებას აცდენილი, მაგრამ ამ ბოლო დროს ამასაც დაუტრიალდა უკუღმა ჩარხი. 13 ნოემბერს ღამე გასტეხეს პოლკის დუქანი. ქურდი უცხო ვინმე არ უნდა ყოფილიყო, რადგან შუშაბანდის ერთ ფანჯრიდან ჯერ ღვინო-არყის დახლთან მისულა, გაუტეხია და, შიგ რომ ვერაფერი უნახავს, დიდ დუქნის დახლს სწვევია, რომლიდანაც ამოუღია 30 მან. ოქრო და ვერცხლი. შვიდი მანეთის შავი ფულისთვის ხელი არ უხლია. ეს ქურდობა ისე ჩუმად და ადვილად მოუხერხებიათ, რომ მეკანტორეს, რომელსაც იქვე მეორე ოთახში სძინებია, ვერ შეუმჩნევია მეორე დილამდის. ქურდი რომელ ფანჯრიდანაც შემოსულა, ისევ იმ ფანჯრიდან გასულა. პოლიციელნი ამ ადგილას ბევრნი არიან.

წყაროსთაველი

ღამის დეპეშები

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“
17 ნოემბერი

ბრესტი, 16 ნოემბერი. წუხელის რეიდში შემოვიდა რუსის კონტრ-ნაღმიანი გემი „პრონზიტელნი“. გემს რამდენსამე ადგილას გვერდები აქვს შენგრეული, როგორც სჩანს, თავის ლუზისგანვე. აქაური რუსის კონსული დილას ელაპარაკა კონტრ-ადმირალს ფელკელს „პრონზიტელნი“-ს შეკეთების შესახებ საზღვაო მინისტრს შეეკითხნენ და იმან გადაიწყვიტა, ეს გემი ისეა დაზიანებული, რომ, შესაძლებელია გემზე მოსამსახურეებს უბედურება რამ შეემთხვეს და გემს სიარული დაუშალოსო, ამიტომ ნება დართო დაზიანებული გემი ბრესტში შეაკეთონ.

ბერლინი, 16 ნოემბერი. შეერთებულ შტატების წარმომადგენლად საერთაშორისო საგამომძიებლო კომისიაში დაინიშნა ვიცე-ადმირალი ჩედვიგი, სამხრეთ-ატლანტიის ესკადრის უფროსი.

ჩიფუ, 17 ნოემბერი. იაპონიის კერძო ცნობებით, გუშინ განახლდა საერთო შტურმი პორტ-არტურისა. საათნახევრის განმავლობაში უმთავრესად გაცხარებული იერიში ჰქონდათ აღმოსავლეთ სიმაგრეზე. იაპონელთა მხარეს 4000 კაცამდე ანგარიშობენ მკვდარს.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“
17 ნოემბერი

ბრესტი, 16 ნოემბერი. („ჰავასის სააგენტო“) კონტრ-ნაღმიანი გემი „პრონზიტელნი“ მოვიდა აქა.

პარიზი, 16 ოქტომბერი. („ჰავასის სააგენტო“). მინისტრების საბჭოში დელკასემ გამოაცხადა, რუსეთმა და ინგლისმა სურვილი გამოსთქვეს, რომ საფრანგეთმა ადმირალი დანიშნოს გულის ინციდენტის გამოსაძიებლად დანიშნულ კომისიაში მონაწილეობის მისაღებად. საფრანგეთის მთავრობამ ვიცე-ადმირალი ფურნიე დანიშნა. კომისიის გარეშე საქმეთა სამინისტროს შენობას დაუთმობენ.

ბრესტი, 16 ნოემბერი („ჰავასის სააგ.“). რუსის ნაღმიანი გემი „პრონზიტელნი“ სამხედრო პორტში შევიდა. ამ გემმა დიდი ღელვის დროს გამოიარა ლამანშის სრუტეში; რამდენსამე ადგილას გვერდი აქვს შენგრეული, საჭე გაბრუდებული აქვს. ისეა დაზიანებული, რომ მეზღვაურებსაც შიში აქვთ. სანიტრალიტეტო კანონით ამ გემს პორტში გაჩერება შეუძლიან შესაკეთებლად. წყალქვეშ მოსიარულენი გემის ძირს ჰსინჯავენ.

მოსკოვი, 16 ნოემბერი. აღმოსავლეთ-ციმბირის მე-6 დივიზიის პირველ ბრიგადის უფროსი იაცინინი ჰფიქრობს, რომ იაპონელები ძლიერ დაქანცულები არიან და მაშველ ჯარის მიყვანა უჭირდებათ. მუდმივ ჯარში ეხლა ხანდახან ბერი-კაცებიც გვხვდებიან ხოლმეო.

ლონდონი, 15 ნოემბერი („რეიტერი“). „ნაინტონ სენტერი“-ში დაბეჭდილია საუბარი ბაშფორდისა გრაფ ბიულოვთან. ბიულოვს სხვათა შორის გერმანიისა და რუსეთის ურთი-ერთობაზეც ულაპარაკნია: გერმანია ძლიერა ცდილობს ზავის დაცვას და რუსეთისა და ინგლისის გადაკიდება გერმანიას მეტად ეწყინება. ამიტომ გერმანია ყოველ ნაირად ცდილობდა, რომ ეხლანდელი ომი არ გავრცელებულიყო. ჩინეთი რომ ნეიტრალიტეტს იცავს, ამის გერმანიას უნდა უმადლოდნენ. გერმანია სიამოვნებით უცქერის რუსეთისა და ინგლისის კეთილ ურთიერთობას. გერმანიასა და რუსეთს განსაკუთრებული შეთანხმება არა აქვთ დადებული, მაგრამ გერმანიას ჰსურს, რუსეთთან წინანდებურად კეთილი ურთიერთობა იქონიოს, ამავე დროს გერმანია ნეიტრალიტეტსაც მტკიცედ იცავს.

ტოკიო, 17 ნოემბერი („რეიტერი“). იაპონიის ჯარის მთავარი სადგური იუწყება: 14 ნოემბერს საღამოს რუსებმა ზარბაზანი დაუშინეს სანტაოკუნძუს; 6 საათზე რუსის ქვეითა ჯარმა იერიში მიიტანა, მაგრამ იაპონელებმა 8 საათზე მოიგერიეს ეს იერიში. იერიშის დროს რუსის მორტირები ყუმბარას უშენდნენ სანტაოკუნძისა და კანსიაოძეს მიდამოებს. 16 ნოემბერს მზის ჩასვლამდე რუსის მორტირები და საველე არტილერია რკინის გზის დასავლეთით განუწყვეტლივ ყუმბარას უშენდნენ კუცზიაცზის მიდამოებს; ამავე დროს რუსის ქვეითა ჯარმა კონკუანცზის ჩრდილოეთ-დასავლეთით სოფელი დაიჭირა. რუსები სიაოცზიაფუს მხარესაც ისროდნენ ზარბაზნს. იმავ საღამოს, 10 საათზე, რუსის ქვეითა ჯარმა რკინის გზის დასავლეთით, მდ. შახეს მარჯვენა ნაპირას თოფის სროლა ასტეხა და ღამის 11½ საათამდე ისროდა.—მთავარი სადგომი გენ. ნოგის მოქმედების შესახებ იუწყება: იაპონელებმა სუნშუშანის ფორტის გვერდზე გლასისების სიმაღლეები და კონტრ-ესკარპები აიღეს, მაგრამ ფორტი კი ჯერ არ აუღიათ. ამ ჟამად იაპონელები 203 მეტრის სიმაღლე გორაზე ფორტის კაზემატებს ანგრევენ, რამდენჯერმე იერიში მიიტანეს და გორის წვერის ახლო ტრანშეები აიღეს; ამ ჟამად ამ პოზიციებზე დგანან და მთელის ფორტის აღებას ცდილობენ.

ტოკიო, 16 ნოემბერი („რეიტერი“). გენ. ნოგის ებრძანა, რომ პორტ-არტურის აღმოსავლეთ ფორტების საერთო შტურმში შეაყენოს. გენ. ნოგიმ მთავარ შტაბს გძელი მოხსენება გაუგზავნა, თუ როგორ მიდიოდა საქმე 10 და 14 ნოემბერს, მაგრამ ეს მოხსენება არ გამოუცხადებიათ მოკლე მოხსენების გარდა, სადაც გენ. ნოგი იუწყება, რომ იაპონელებმა გარე პოზიციები აიღეს სუნშუშანის ფორტის წინაო. იაპონელი საპიორები ხელ-ახლად შეუდგნენ მუშაობას. აქ ცნობა მიიღეს, გენ. ნოგი თავის მოხსენებაში ამბობს, რომ შტურმს ისეთი შედეგი არ მოჰყვა, როგორსაც მოველოდითო.—იაპონელები, ცოტა არ იყოს, შეწუხებულნი ადევნებენ თვალ-ყურს ბალტიის ესკადრის მოძრაობას.

შერბურგი, 17 ნოემბერი. კრეისერ „დნეპრ“-მა და ორმა რუსის ნაღმიანმა გემმა დაზიანებულ გვერდების შეკეთება დაასრულეს და შორეულ-აღმოსავლეთს წავიდნენ.

ჩიფუ, 16 ნოემბერი („რეიტერი“). იაპონელებმა ცნობა გამოგზავნეს დალნიდან, პორტ-არტურის ფორტების უკანასკნელი შტურმი 11 ნოემბერს დაიწყო და 16 ნოემბერს, როცა დალნიდან დეპეშები გამოგზავნეს, შტურმი ჯერ გათავებული, არ იყო. იაპონელებს, ეტყობა, ერლუნშანისა და ცინგუანშანის სიმაღლეების ახლო სანგრების დაჭერა უნდოდათ. თითონ ფორტებზე შტურმი არ მიუტანიათ. ჯერ რამდენსამე დღეს ზარბაზნს უშენდნენ და მერე მე-11 დივიზიის რაზმი იერიშით წავიდა. 11 ნოემბერს ნაშუადღევს რაზმი ფორტის წინ გამართულ სანგრებს ეცა, ცინგუანშანის სამხრეთ-აღმოსავლეთით. მედგარი ბრძოლა გაიმართა ამ ტრანშეებთან, ხუთი საათი გასტანა ბრძოლამ. იაპონელები რამდენჯერმე უკუაგდეს, მაგრამ ბოლოს მაინც განდევნეს რუსები და ტრანშეები დაანგრიეს. შტურმის მიმტან იაპონელებს ნაწილს ქვიშით გატენილი ტომრები ჰქონდათ და პოზიციებზე ამ ტომრებს ეფარებოდნენ. იმავ დღეს ღამის 11 საათზე რუსები ამ პოზიციების თავზე მდებარე ფორტიდან გამოვიდნენ და იაპონელებზე იერიში მიიტანეს, მაგრამ, როგორც იაპონელები ამბობენ, ორის საათის ბრძოლის შემდეგ რუსები უკუაგდეს. ამ სიმაგრეების წინ კიდევ მეორე რიგი უფრო ძლიერი სიმაგრეა აშენებული. ჩინელები იუწყებიან, დალნიში წინა პოზიციებიდან 30 ვაგონით მოიყვანეს იაპონელებიო.

ჩიფუ, 16 ნოემბერი („რეიტერი“). პორტ-არტურის უკანასკნელ შტურმის დროს იაპონელებმა ნაღმები ააფეთქეს ერლუნშანის უმთავრეს სიმაგრეების ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით. გლასისის ნაწილი დიდ თხრილში ჩაწვა. იაპონელებმა სხვა მეორე ხარისხოვან ფორტებზეც მიიტანეს შტურმი ცინგუანშანს ახლო და ერთის საათის განმავლობაში 4 ათასი კაცი დააკლდათ მოკლული. ყოველ დღე მეტად გამწვავებული ბრძოლა ხდება. იაპონელები გამოტეხით ამბობენ, რომ დიდი ზარალი მოგვივიდაო. ციხეს სამის კვირის შემდეგ ავიღებთო. გუშინ მტრედის ბუხტაში კიდევ გადაიყვანეს ჯარი სატრანსპორტო გემებიდან. იაპონელები ირწმუნებიან, რომ ამ ჟამად ლიაოტეშანის ფორტისაკენ ტუნელი გაგვყავს და იმედი გვაქვს, ეს ფორტი შტურმით ავიღოთო.

კაპშტადტი, 16 ნოემბერი („რეიტერი“). გერმანელი მოხელეები სვაკოპმუნდში იუწყებიან, რუსის ესკადრა ანგრა-პეკენაში, სადაც ქვა-ნახშირის დადება ცუდ ამინდშიაც შეიძლებაო.

პეტერბურგი. უქვეშევრდომილესი დეპეშა გენერალ ადიუტანტ კუროპატკინისა, 16 ნოემბერს 1904 წელს: „იაპონიის რაზმი, რომელმაც ჩვენ ჯართან ცინხენჩენს ახლო ბრძოლის შემდეგ უკან დაიხია, თავის უკანა რაზმით სოფ. სუიდუკთან ცინჩანის გზაზე და ერთ უღელტეხილზე ცინხენჩენიდან 12 ვერსის მანძილზე სამხრეთ-აღმოსავლეთით შედგა. ადგილობრივი მცხოვრებლები ამბობენ, იაპონელები ცუდ გუნებაზე არიანო. ბევრი დაჭრილი მიჰყავთ. დღეს დილით ჩვენი ჯარი იერიშით წავიდა. ჩვენის პოზიციიდან 10 ვერსის მანძილზე მოწინავე რაზმს იაპონელებმა თოფი დაუშინეს. 12 საათზე ჩვენმა არტილერიამ ზარბაზანი დაუშინა იაპონელებს, ქვეითა ჯარმა იერიში მიიტანა. ამის შემდეგ მოხსენება აღარ მოსულა“.

17 ნოემბერი

ვაშინგტონი, 16 ნოემბერი („რეიტერი“). „ასსოსიატედ პრესს“ იუწყება, რუსეთმა პრინციპიალური თანხმობა გამოაცხადა, შეერთებულ შტატებთან ისეთივე ხელ შეკრულობა დასდოს სამედიატორო სასამართლოს შესახებ, როგორიც ბოლოს დროს შეერთებულ შტატებსა, საფრანგეთსა, გერმანიასა, იტალიასა და პორტუგალიას შორის დაიდო.

ყაზანი, 17 ნოემბერი. გაიხსნა სესია, რომელმაც ხატების მოპარვის საქმე უნდა გაარჩიოს.

16 ნოემბერი.

პარიზი 16 ნოემბერი. დეკემბრის პირველ რიცხვებში შერბურგში წყალ-ქვეშ მავალ ნავებს გამოსცდიან. გამოცდას საზღვაო მინისტრი პელტანი დაესწრება და მეორე დღეს საგამომძიებლო კომისიას გაუწევს თავმჯდომარეობას.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

გამოსადეგ

პეტერბურგის ბირჟა, 16 ნოემბერი

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ.	93,65
ბერლინისაზე 100 მარკაში	45,87½
პარიზისაზე 100 ფრანკში.	—
ლონდონისაზე ჩეკები	94,40
ბერლინისაზე „	46,30
პარიზისაზე „	37,52½
ბირჟის დისკონტი	6-7½%
4% სახელმწიფო რენტა	92⅛
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	—
4½% შინაგანი სესხი 1903 წ.	—
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	89⅜
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ.	428
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	322½
5% გირ. მოგ. ფურც. სახ. ს.-მამ. ბანკ.	272½
5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ.	—
4½% ობლ. იმავე საზოგად.	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ.	—
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ	—
4½% გირავ. ფურც. ამავე ბანკისა.	—
6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	87¼
ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია.	246

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდან.

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამზაბითობით) საღამოს 5 ს. 21 წ. (6 ს. 19 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 44 წ. (8 ს. 42 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.).

ბათუმს: 1) საფოსტო № 3 ნაშუადღევს 4 ს. 20 წ., (5 ს. 18 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 55 წ. (12 ს. 53 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევს 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევს 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევს 2 ს. 26 წ. (3 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევს 3 ს. 03 წ. (4 ს. 01 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 56 წ. (6 ს. 54 წ.); 4) საქონ.-სამგზ. № 17 ღამის 11 ს. 38 წ. (12 ს. 36 წ.).

ბათუმიდან: 1) საფოსტო № 4 საღამოს 4 ს. 56 წ. (5 ს. 54 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 01 წ. (7 ს. 59 წ.).

ერევან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 35 წ. (6 ს. 33 წ.); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევს 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუადამევს 1 ს. 15 წ. (2 ს. 13 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 52 წ. (8 ს. 50 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 40 წ. (1 ს. 38 წ.); 4) საქ.-სამგზ. № 17 დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) საფოსტო № 4 დილის 4 ს. 36 წ. (5 ს. 34 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 6 ს. 05 წ. (7 ს. 03 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

1) სამგზავრო № 51 ღამის 12 ს. 05 წ. (1 ს. 03 წ.); 2) სამგზავრო № 53 დილის 8 ს. 25 წ. (9 ს. 23 წ.); 3) სამგზავრო № 55 ნაშუადღევს 2 ს. 20 წ. (3 ს. 18 წ.); 4) სამგზავრო № 57 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

განცხადებანი

თელავში გამოსაჩენ ადგილზე იყიდება ახლად აშენებული სამ-სართულიანი სახლი ფლიგელით დახურული ცინკ-წასმული თუნუქით. დაწვრილებითი ცნობებისათვის და ფასისათვის მიმართეთ: Москва, поварская уч., домъ Суходольскаго квартира, 12 დიმიტრი ივანეს ძე როსტომოვს.
(4—375—3)

ახალი გახსნილი
სასტუმრო **არკადია** ნომრებით
(ყოფილი „იალტა“)
მართლმადიდებელ სემინარიის პირდაპირ, ოქრომჭედლების ქუჩ. კუთხეში. სადილი ორი თავით, [illegible] არაყით, ღვინით და ფინჯანი ყავით 45 კ. [illegible]ლებით და [illegible] ყავით 30 და 20 კ., ღვინო ბოთლი 25 კ. და ძვირფასიც. თვიურად იაფად და ეძლევათ აბონემენტები. სადილი 11—5 საათ. დილის და 5—12 ს. ღამ.
(88—52—71)

მაღაზია თბილისში
კ. დ. კობახიძესი
(შუა-ბაზარში, სოლომონოვის ქუჩის კუთხეში). მიღებულია დიდ-ძალი საეკლესიო ნივთები, ოქრო-ვერცხლი და ძვირფასი თვალეულობა. მსურველთ გაეგზავნება საქონელი ფას დადებითაც, მხოლოთ უნდა გამოგზავნოს მანეთზე 15 კაპ. ბეთ. მღვდლებს-კი გაეგზავნებათ უბეოდ, მხოლოთ წერილი უნდა იყოს შემოწმებული საეკლესიო ბეჭედით. საქონელი გაეგზავნებათ იაფ ფასათ.
(10—5.—10)

ტფილისში ტანისამოსის მკერავი
ი. ნ. სვანიძე.
მიღებულია მდგომარე სეზონისათვის დიდძალი მატერიები რუსული და საზღვარ-გარეთული ტანისამოსის შესაკერად ერის კაცთა, სამხედრო და სამოქალაქო მოხელეთათვის და ყველა სასწავლებლის მოსწავლეთათვის. შეკვეთილი საქმე **მსწრაფლ, კარგათ** და **დროზე** მზადდება. **ფასები ძალიან ზომიერია.** ლორის-მელიქოვის ქ. სახლი ზუბალოვისა მართლმადიდებელთა სასულიერო სემინარიის პირდაპირ.
(30—4)

ახალი საყმაწვილო ჟურნალი
„ნაკადული“
სურათებით
გამოიცემა მცირე წლოვან და მოზრდილ ყრმათათვის
თვეში სამი წიგნი: ორი მცირე წლოვანთათვის და ერთი მოზრდილთათვის პედაგოგიურ ფურცლის დამატებით.
წელიწადი იანგარიშება 1 ნოემბრიდან 1 ნოემბრამდე.
ჟურნალის ფასი: ერთად ორივე გამოცემა ღირს წელიწადში 5 მან. ცალ-ცალკე 3 მან. ნახევარის წლით ორივე გამოცემა 2 მ. 50 კაპ.; ხელის მომწერს შეუძლიან თვეში თითო მან. შემოიტანოს. ფასი თითო ნომრისა: მოზრდილთა ჟურნალი—25 კ. მცირე ყრმათა—15 კაპ. რედაქცია იმყოფება ალექსანდროვის ქუჩაზე, № 5, სახლი პოპოვისა, სადგომი მარიამ ივანეს ასულის დემურიასი.
ხელის მოწერა მიიღება: რედაქციაში, „წერა-კითხვის გამავრც. საზოგ.“ კანცელარიაში და ჟურნალის აგენტებთან.
(9—3.23)
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція журнала „НАКАДУЛИ“

იყიდება
ხეხილის ხეები „შრომის“ სანერგიდან ლაგოდეხში
კ. აფრიკიანისა.
სანერგესთან მოწყობილია მეურნეობა დასამყნელ ნერგებისა. იყიდება მრავლად დასამყნელი ნერგები ვაშლისა, მსხლისა, კომშისა, ბალისა, ატმისა, ქლიავისა და სხვ. 18 ათასი 4 მანეთად. კატალოგები უფასოდ.
ადრესი: Лагодехи, К. Африкіану.
(3—381—1)

გენერალნოე ობშჩესტვო
(Генеральное общество)
სიცოცხლის და სიკვდილამდის შემოსავალთა დაზღვევისა
აძლევს დამზღვევთ:
1) შეურყეველ გარანტიას, რომ უზრუნველჰყოფს ყველა ნაკისრ მოვალეობას; ამ გარანტიას წარმოადგენს: ა) საზოგადოების ძირითადი თანხა სამი მილიონი მანათისა (3.000.000) ბ) სათადარიგო თანხა, რომელიც სდგება საზოგადოების წმინდა მოგებიდან 10% გადადებით და გ) პრემიების სრული სათადარიგო ჯამისაგან, რომელიც ინახება, მთავრობის ფაქტიურ კონტროლით, თანახმად 1898 წ. 11 მაისის კანონისა;
2) სრულს ხელუხლებლობას პოლისებისას და ყველა იმ ფულისას, რომელიც დამზღვევთ საზოგადოებიდან ერგებათ, არესტისაგან, გადაცემისაგან და სხვა;
3) უსათუოდ უცილებლობას პოლისებისას დაზღვევიდან 1 წლის შემდეგ.
4) პოლისების დაურღვევლობა დაზღვევიდან 3 წლის შემდეგ, ესე იგი, სამის წლის შემდეგ დამზღვევს ნება აქვს, თუ ჰსურს, შეაჩეროს გადასახადის შეტანა საზოგადოებაში და მაგიერ ამისა, დარჩეს დაზღვეულად ცოტად თუ ბევრად ხანგრძლივად;
5) პასუხის გებას, თუ დაზღვეულმა თავი მოიკლა.
6) მოგზაურობის სრულს თავისუფლებას;
7) სამსახურისა და პროფესიის სრულს თავისუფლებას;
8) პრემიების სიიაფეს;
9) განთავისუფლებას გადასახადებიდან, რომელიც საჭიროა პოლისების დასამზადებლად და გრეთვე საგერბო გადასახადებისაგან;
10) უფლებას დაზღვევისათვის გადასახადის თვიურად შემოტანისას;
11) საზოგადოების მოგებაში მონაწილეობის ნებას იმის მიხედვით, თუ რამდენი [illegible] დამზღვევს შეტანილი პრემია;
12) სესხს იმ პოლისების გირაოთი, რომელთაც 3 წლის განმავლობაში ძალა ჰქონდათ; სესხი გაიცემა 6%-ით;
13) უფლებას შეაჩეროს დროებით დაზღვევა და შემდეგ, თავისავე სურვილის თანახმად, კვლავ აღადგინოს იგი;
14) სამის თვის შეღავათის სავადო პრემიის გადასახდელად და სხვ...
საზოგადოების **გამგეობა** იმყოფება პეტერბურგს, ნევსკი პრ., 23. **ამიერ-კავკასიის ოლქის მმართველობა** ტფილისში, გოლოვინის პრ., ოქროვის სახლი, ტელეფონი № 429.
აგენტები არიან ოლქის ყველა უმთავრეს ადგილებში.
(100—47)

Дозволено цензурою, 17 ноября 1904 г.
სტამბა „წიგნების გამომც. ქართვ. ამხ—ისა“.
Электроп. „Груз. Изд. Т—ва“.